№ 204
1877—1905
№ 204
შაბათი, 12 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.
ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.
ტელეფონი № 922.

კვირას, 13 ნოემბერს,
დილის 10 საათზე, ნაძალადევში
დანიშნულია
სახალხო მიტინგი
გასარჩევი კითხვებია:
1) ვიტეს მთავრობა და ლიბერალები.
2) დემოკრატიულ თვითმართველობის შემოღება ტფილისში.
ტფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
დღეს, შაბათს, 12 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება
ზაზა
ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ლეონკოვალლოსი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი არციბაშევა, ნიკიტსკაია, მიშეცკაია, კარპოვა; ბ-ნნი: კარელინი, კოლოტოვი, სოკოლსკი, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვი, ვოლსკი, დემიანენკო, შეინი, სურდის და კანტორი.
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე
დირიჟორი ლ. პ. შტეინბერგი.
რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ბილეთები იყიდება.

თანხმად ტრაქტირებზე გადასახადთა დებულების 34 და 41 § ის **ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისის მეტრაქტირეებს გამოცხადდნენ** გამგეობის შენობაში 1906 წლის ხარჯის გამწერ კომისიის წევრთა ამოსარჩევად.
უნდა გამოცხადდნენ შუადღის 12 საათზე შემდეგს, დღეებში: ტრაქტირისა და დუქნების პატრონები—ნოემბრის 8 ს, სასტუმროების პატრონები—ნოემბრის 9 ს, რესტორანებისა, ბუფეტებისა და საკონდიტეროებისა—ნოემბრის 10 ს, ლუდხანებისა—ნოემბრის 11 ს, ღვინით მოვაჭრენი და სარდაფების პატრონები—ნოემბრის 12 ს, მოწყობილ სახლებისა, კუხმეისტრებისა, ყავახანებისა და საჩაიეს პატრონები—ნოემბრის 13-ს, სანოვაგით მოვაჭრენი—ნოემბრის 14 ს და ბაკების პატრონები—ნოემბრის 15-ს — 1905 წლისა.

სტუდენტი-უნივერსანტი
ეძებს გაკვეთილებს ან რამე საქმეს.
ალექსეევის ქუჩა № 10.

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.
ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.
რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.
დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა 5 მან. ცალ-ცალკე—სამ სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთად—2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ. თვეში 50 კ. ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ. მოზრდილთათვის 25. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თ თო მანათი შემოიტანონ.
შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად.
პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.
რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**
გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

9 სექტემბერს, ღამე, დაკეტილის ოთახიდან
ქუთაისში, სასტუმრო „გრანდოტელში“
მომპარეს ჩემოდანი
ბევრ ჩემთვის ძლიერ საჭირო საბუთებსა და ნივთებს გარდა, წაიღეს ამხანაგობა „გეორგია“-ს საამხანაგო ხელშეკრულობის დედანი, ნიუ-იორკის დამზღვევ საზოგადოების პოლისი, ორი საწევრო ბანკის ბილეთი, ვექსილები, ჩემი თხზულებანი „განწირულნი“, „მშვენიერების წინაშე“ და სხვ., ბავშვის მეტრიკული მოწმობა. **ამით ვაცხადებ**, ვინც იპოვნის ამ ზემოხსენებულ საბუთებს და გამომიგზავნის, **მიიღებს სასყიდლს ას მანათს.** თუ ყველა საბუთებს და ვექსილებს მომიტანს, ან ფოსტით გამომიგზავნის, **გადავუხდი ორას მანათს** და ვაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მომტანის ანუ გამომგზავნის სახელს არ გავამხელ. ვიმედოვნებ, მპოვნელი აღასრულებს ამ ჩემს თხოვნას, მით უმეტეს, რომ მპოვნელისთვის არც ერთი საბუთი არაფრად მოსახმარისი არ არის და მე კი დიდად დამავალებს. **ადრესი: ბათუმი, კანტორა „გეორგია“, ივანე მეხუზლა—რაჭველი.** (5—4)

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაშვილი
მიიღებს შინაგანის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.
ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა. (20—16)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავოტი.

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ქ. გ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შავიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
ბ. ამბიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **მ. ა. ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს საოლსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის. და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფების ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჭაძე ხვირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიხამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გართონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

მიტინგების გამო.

I

„ცნობის ფურცელს“ (№ 2945—«რა ვუწოდოთ“) მოჰყავს სოხუმელ სოც.-რევოლუციონერების, რევოლუციონ. პარტიის „დაშნაკცუტიუნ“-ის და ქართველ სოც. ფედერალისტების ადგილობრივ კომიტეტების-მიერ გამოცემული პროკლამაცია შესახებ იმ მიტინგისა, რომელიც იქ გაუმართავს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს 19 ოქტომბერს. პროკლამაციაში ვკითხულობთ: შემდეგს: ,,ამ მიტინგზე მოხდა აღმაშფოთებელი ამბავი, რომლის მსხვერპლი შეიქნა ქართველ სოციალ-ფედერალისტების პარტიის ერთი წევრი... „მიტინგის თავმჯდომარის ნებართვით ერთი ხსენებულ პარტიის წევრი ესტრადაზე ავიდა და შეუდგა ლაპარაკს... ორატორს ჯერ არც კი ეხსენებინა ფედერაცია და ავტონომია, რომ ზოგიერთებმა დაიწყეს ყვირილი „ძირს ავტონომია“. ხოლო ერთს ხალხში მდგარს, **მეთაურს ჯგუფისას** დემონსტრატიულად ეჭირა თავი და თავის მომხრეებს **ამხედრებდა ძალმომრეობისათვის,** რომელიც იმით გამოიხატა, რომ **ორატორი საქმით შეურაცხვეს** და ესტრადიდან ძალით გადმოაგდეს. ამ **სამარცხვინო ძალმომრეობაში მონაწილეობას იღებდა ორი სხვა ხელმძღვანელიც ჯგუფისა...“** (კურსივი ჩვენია).

მიტინგის ხელმძღვანელთათვის ეს იმდენად მძიმე ბრალდებაა, რომ მოთხრობილი ამბავი ჩვენ არა გვჯერა და ვერც დავიჯერებთ, ვიდრე ბრალდებულ მხარესაც არ მოვუსმენთ და საქმის გარემოებას დაწვრილებით არ გავიგებთ.

,,ცნობის ფურცელს'' კი არავითარი ეჭვი არ შეაქვს ხსენებულ ამბის სინამდვილეში და ამბობს: ,,როგორც ჰხედავთ, მიტინგის გამმართველ სოციალ-დემოკრატებს მეორე პარტიის წევრის წინააღმდეგ უხმარიათ იგივე იარაღი, რომლით ქებულია რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია, ძალმომრეობა, ყაზახის მათრახი, მუშტი-კრივი''. აღშფოთებული გაზეთი დასძენს: პროკლამაციის შინაარსი ჩვენთვის მოულოდნელი არ არის და შიგ მოთხრობილი ამბავი „არ ახალია, ძველია“... ნუთუ შესაწყნარებელია ასეთი „ბრძოლა“? ნუ თუ ჰგონიათ, რომ ფონს გავლენ იმ საშუალებით, რომელიც თვითმპყრობელ ბიუროკრატიისაგან უსესხებიათ?!“

ამავე აზრის დასამტკიცებლად, ე. ი., რომ სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციები ძალმომრეობას ხმარობენ სხვა პარტიების წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ასეთი შემთხვევა მოჰყავთ: 6 ნოემბერს, ერთ სარდაფში სამი კაცი შეხვედრია ერთმანეთს. ერთი აღიარებს თავის თავს სოც.-ფედერალისტად, სხვები სოც.-დემოკრატებად. ეს კაცები ცხარედ შელაპარაკებიან იმ დღეს გამართულ მიტინგების შესახებ. ბოლოს ერთი მათგანი ფედერალისტს მუშტს ამოჰკრავს ნიკაპ ქვეშ და ენას მიუწყვავს. სოც.-ფედერალისტი ეუბნება რაინდებს: „ძალმომრეობა რა საკადრისია! სოციალ-დემოკრატებსაც თანავუგრძნობ, ზოგიერთ მეთაურებს ვიცნობ კიდეცო“, მაგრამ ,,გამარჯვებული ',,სოციალ-დემოკრატები'' მაინც კიდევ მუშტებსაც მიაყოლებენ ს.-ფედერალისტს.

,,ცნობის ფურცელი“ დასძენს: ,,სხვაც ბევრი გვაქვს ამის მსგავსი ფაქტი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა ახალ თვითმპყრობელთა დასახასიათებლად. ვნახოთ სანამდის მივლენ. ახლა კი თვით მკითხველთ სთქვან: რა ვუწოდოთ ასეთ ,,ბრძოლის'' ტაქტიკას?''

შახლას!

ახლანდელ დროში ყველა ადამიანი ვერ იკავებს თავს, რომ მუშტები არ იხმაროს. ეს მეტის-მეტად სამწუხაროა. და რომ იდეიურ ბრძოლა-კამათში მუშტი ვერაფერი იარაღია—ყოვლად დასაგმობია, თუ მეტი არა—ეს ყველა ჭკვათამყოფელ ადამიანისთვის ცხადია. ამაზე ლაპარაკი გაზეთის ფურცლებზე ისეთივე წყლის ნაყვაა, როგორც მტკიცება იმისა, რომ 2+2 ოთხია და არა ოცდა თხუთმეტი. „ცნობის ფურცელი“ კი მაინც არკვევს „ბრძოლის“ ტაქტიკას.

გარდა ამისა, ვინმემ სადმე რაიმე საძაგლობა რომ ჩაიდინოს და მერე თავის თავი ამა თუ იმ პარტიის მიმდევრად აღიაროს, ნუთუ ეს საბუთია იმისა, რომ ჩადენილ საძაგლობის ბრალი დავდოთ ამა თუ იმ პარტიას, ორგანიზაციას ანუ იმათ აზრებსა და შეხედულობას? მგონია, ადამიანი სოლომონ ბრძენი არ უნდა იყოს, რომ ასე არ მოიქცეს. და თუ საქმე პარტიის აზრებზე მიდგება, ჩვენ კარგად ვიცით, რომ სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალისტ-რევოლუციონერების „თეორია“ საზოგადოდ ისტორიაში დიდ მნიშვნელობას აწერს „მუშტს“ (ტერორს), სოციალ-დემოკრატია კი ბრძოლის ამგვარ ტაქტიკას სრულიად უარჰყოფს.

ის კი მართალია, რომ პირველ ხანებში გამართულ მიტინგებზე, სამწუხაროდ, არა ერთხელ დარღვეული იყო სიტყვის თავისუფლება. ჩვენ თვითონ მოწმე ვიყავით ასეთი ამბებისა.

როცა ღირს-სახსოვარ კვირაში დიდი მიტინგები იმართებოდა, სხვათა შორის, გოლოვინის პროსპექტზე, ერთ დღეს, მიტინგის ხელმძღვანელთ დროებით დასტოვეს ყრილობა, რომ მოელაპარაკნათ ნამესტნიკთან დეპუტაციის გაგზავნაზე. მაშინ ერთსა და იმავე ადგილზე, ერთს და იმავე დროს ოთხი და ხუთი ორატორი ადიოდნენ სალაპარაკოთ, იდგა საერთო ჟრიამული და, რა თქმა უნდა, არაფერი ისმოდა. უცბად მომიახლოვდა ერთი ნაცნობი და აღშფოთებულმა მომაძახა: Ахъ, какіе противные ваши соціаль-демократы''!—რა ამბავია? შევეკითხე.—როგორ რა ამბავია, სოც.-დემოკრატები ლაპარაკის საშუალებას აღარავის აძლევენ, თითქოს ბურთი და მოედანი სოც. დემოკრატებისა იყოს, თითქოს ქვეყანა მაგათ დარჩენოდეს! ხალხმა ბრძოლით მოიპოვა სიტყვის თავისუფლება და ნუთუ ნება არ უნდა გვქონდეს ვისარგებლოთ ამ თავისუფლებით? ოო, ეგ საშინელებაა, საშინელება!—ამ დროს, ხალხის ზღვაზე აღიმართა ერთი მეტად მოხდენილი ჭაბუკი; რუსთაველის ნამდვილ ტარიელს მოგაგონებდათ; ჭაბუკი წითელ ბაირაღებით გარემოცული შვენოდა, როგორც ამომავალი მზე. ორატორს ჯერ ტუჩი არ დაეტოკებინა, რომ მე უკვე სმენად გადავიქეცი. აი, მან დაიწყო ლაპარაკი, მარა პირველ ორ-სამ სიტყვისთანავე ასტყდა საშინელი ჟრიამული და ყვირილი. მე გაოცებულმა წინ წავიწიე, რომ გამეგო რაში იყო საქმე. ჭაბუკი ცდილობდა როგორმე დაემორჩილებინა ხალხის მღელვარება, ყვირილი, განაგრძობდა სიტყვას, მარა ამაოდ; ჟრიამულისაგან ყურთა სმენა არ იყო. ისმოდა ორატორის მხოლოდ ორი სიტყვა: ,,მიწის სოციალიზაცია... ფედერაცია''... ხალხი დაჟინებით ჰყვიროდა: ,,არ გვინდა! ძირს ორატორი! ძირს''!..

მეორე ადგილას კიდევ აღიმართა *) ერთსა და იმავე დროს ოთხი ორატორი. ერთი იყო სოციალ-დემოკრატი, მეორე—სოც.-რევოლუციონერი, მესამე—სოც.-ფედერალისტი და მეოთხე კი მაღლა ჰყვიროდა: ,,მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მე იქა ვარ, სადაც ხალხია!'' ეს ორატორი მალე ჩამოაგდეს ძირს. მეორე ილაპარაკა სოციალ-დემოკრატმა. მარა როცა ჯერი მიდგა სოც. რევ.-ზე და სოც.-ფედერალისტზე, კვლავ ასტყდა ჟრიამული და ყვირილი; ორატორებს საშუალება არა ჰქონდათ ლაპარაკისა. ამ დროს ერთმა სოც.-დემოკრატმა, კ. ჯ.-მ, მიტინგის ხელმძღვანელთა დავალებით, მიმართა ხალხს: ,,დამშვიდდით!.. სირცხვილია ჩვენთვის, რომ სხვა პარტიის წარმომადგენელთ არ ვაძლევთ ლაპარაკის საშუალებას... სიტყვის თავისუფლება ყველასთვის!..'' მაგრამ ამაოდ იყო, ხალხი მაინც არ სცხრებოდა.

რა თქმა უნდა, ყოველთვის არ არის მოსახერხებელი და არც შესაწყნარებელია, ხალხს პირზე ხელი მიაფარო, რომ მან ხმა მაღლა არ დაჰგმოს, რაც დასაგმობად მიაჩნია და ხმა-მაღლა არ მოიწონოს, რაც მოსაწონად მიაჩნია. ჩვენ ხალხს ვერავინ უკიჟინებს, რომ მან არ იცოდეს რიგიანი ქცევა მიტინგებზე, რადგან წინააღმდეგია (რიგიანობა) სრული სიმართლე.

მაგრამ მიტინგზე რომ ყოველთვის დაცული იყოს სრული წესიერება, სიტყვის სრული თავისუფლება, საჭიროა მიტინგის ხელმძღვანელთ არაოდეს არ დაივიწყონ ხოლმე შემდეგი საორგანიზაციო წესები:

1) მიტინგს იწვევს და ხელმძღვანელობს ერთი რომელიმე ორგანიზაცია (ერთი პარტიის ორგანიზაცია იქნება ეს თუ რამდენიმე დროებით შეკავშირებულ პარტიებისა); 2) საორგანიზაციო ბიურო ა) წინდაწინვე არკვევს მიტინგის განსახილველ საგნებს და საყოველთაოდ აცხადებს ამას აფიშების და გაზეთების საშუალებით; ბ) ჰნიშნავს ორატორებს (ამათი სახელების გამოცხადებაც საჭიროა, როცა ეს შესაძლებელი იქნება), გ) მიტინგზე, უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკობენ ორგანიზაციისაგან დანიშნული ორატორები, და ვიდრე ესენი არ მორჩებოდნენ სიტყვებს, არც ერთი სხვა პარტიის ორატორი იქ არ უნდა წაეჩხიროს; 4) როცა ორგანიზაციის ორატორების სია გათავდება, წაკითხულ უნდა იქმნას რეზოლუციების პროექტი; 5) მხოლოდ ამის შემდეგ და ვიდრე რეზოლუციის პროექტს (,,კენჭს ჩამოუტარებდნენ'') ხმებს შეუკრებავდნენ, თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ერთს ანუ რამდენსამე ლაპარაკის მსურველს მსმენელ საზოგადოებიდან,—რა თქმა უნდა, პარტიების განურჩევლად.

აი, ასეთ პირობებში მიტინგებზე ყოველთვის დაცულია სათანადო წესიერება და სათანადო სიტყვის თავისუფლება.

კანდელი.

II

ვბეჭდავთ ბ-ნ კანდელის წერილს, მაგრამ არ შევვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ავტორი ძალიან ლმობიერად ექცევა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და არ იჯერებს ისეთ ფაქტს, რომელიც ცხადი და ნათელია. ავტორს კიდევ ექნებოდა რაიმე საფუძველი ეჭვისა და დაუჯერებლობისა, ,,ცნობის ფურცელში'' აღნიშნული ამბავი რომ ერთად-ერთი ფაქტი იყოს და სხვები ამგვარივე არ მომხდარიყოს, რომლებშიაც უცილობლად სჩანს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კაცთაგან მუშტისა და საზოგადოდ ძალმომრეობის ხმარება. გაიხსენეთ, თუნდა, ის ამბავი, რომელიც მოხდა ქუთაისში გამართულ საერობო კრებაზე, სადაც რევოლვერებიც კი დასცალეს დარბაზში სოციალ-დემოკრატიის გულმოდგინე პროპაგანდისტებმა. ასეთი ამბავი, სამწუხაროდ, იშვიათი არაა. ამ რამდენიმე თვის წინად სამეურნეო საზოგადოებაში კრებები იმართებოდა, სადაც სოც.-დემოკრატები მოწინააღმდეგეებს სიტყვას პირში სტაცებდნენ, განუწყვეტლივ ,,ძირს!'' ყვიროდნენ და არა თავის პარტიის კაცებს პირში ბურთსა სჩრიდნენ. გაიხსენეთ ის ამბები, რომელიც მომხდარა პროპაგანდის დროს სოფლებში, სადაც სოციალ-დემოკრატიის კაცებს სხვა პარტიის წარმომადგენელნი დაუტყვევებიათ და ძალით გამოუძევებიათ სოფლიდან. გაიხსენეთ მანიფესტის შემდეგ ქუთაისში გამართული მიტინგები, სადაც სოციალ-დემოკრატები სხვა პარტიებს ლაპარაკის ნებას არ აძლევდნენ. თუ ბ-ნმა კანდელმა ეს არ იცის, მიმართოს ქუთათურებს და ისინი დაუმოწმებენ და ისეთ საქციელს გააგებინებენ, რაც წარმოუდგენელია ყოველ კულტურულ ხალხში.

ბ-ნი კანდელი ამბობს: „ვინმემ სადმე საძაგლობა რომ ჩაიდინოს და მერე თავი ამა თუ იმ პარტიის მიმდევრად აღიაროს, ნუთუ ეს საბუთია იმისა, რომ ჩადენილ საძაგლობის ბრალი დავდოთ ამა თუ იმ პარტიას, ორგანიზაციას ანუ იმათ აზრებსა და შეხედულებასო“? უეჭველია, ამისი „ბრალი“ სოციალ-დემოკრატიულ „შეხედულებას“ არ დაედება, რადგანაც ეს შეხედულება არ შეიცავს ასეთ მოძღვრებას: ყველა პარტიების კაცებს, რომელნიც თქვენს პროგრამაზე არ ლოცულობენ, მუშტები სცემეთ და ცხვირპირი დაამტვრიეთო. ეს არც „ცნობის ფურცელს“ უთქვამს. მაგრამ მან სთქვა და ამას ჩვენც ვიმეორებთ, რომ სოციალ დემოკრატიულ პარტიას ზნეობრივი ბრალი ედება იმ ძალმომრეობისათვის, რომელსაც ხმარობენ ხშირად მისი წევრები სხვადასხვა შეკრებილებაში. ბრალი ედება არა იმიტომ, ვითომ: ეს ძალმომრეობა მისი,—პარტიის ორგანიზაციის,—განკარგულებით ხდებოდეს. არა, ამას ჩვენ არ ვიტყვით. ბრალი ედება იმიტომ, რომ მას, რომელიც აურაცხელ პროკლამაციებს ბეჭდავს, არც ერთხელ არ მიუმართნია თავის წევრებისათვის არც პროკლამაციებში, არც ლეგალურ ორგანოში და არ აუხსნია, რომ სიტყვის თავისუფლება საზოგადო სიკეთე, საზოგადო უფლება უნდა იყოს და არა უფლება ერთის რომელისამე პარტიისა; რომ სოციალ-დემოკრატია, რომელიც მუდამ ღაღადებს, რომ იგი ყველგან და ყველაფერში მეცნიერებით ხელმძღვანელობს, მომხრეა აზრისა და მსჯელობის თავისუფლებისა და სხვ.; არა თუ ამგვარი რამ არ გამოუცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თავის წევრების დასარიგებლად და ზნეობრივ ასამაღლებლად, არამედ, პირიქით, მისი იდეოლოგები „მოგზაურის“ ბანაკიდან პირზე სიამოვნების ნერწყვ-მორეულნი ხშირად უამბობდნენ თავის მკითხველებს, რომ „ძმანი ფედერალიძენი“ (ე. ი. ფედერალისტები) გააბრძანეს სოფლებიდანო. ამ „გაბრძანებას“ კი საფუძვლად ედვა ისეთი მოქმედება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის აგიტატორებისა, რომელიც ყოველ კულტურულ საზოგადოებაში დაგმობილი და გაკიცხული იქნებოდა.

ბ-ნი კანდელი ბრალდებას აშორებს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ვითომ იმითაც, რომ ამ პარტიის თეორია არ ამართლებს მუშტს—მუშტის ანუ ტერორის ხმარებას უფრო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია აძლევს დიდ მნიშვნელობასო. ჯერ ერთი, პოლიტიკური ტერორი და მუშტი, მოძმე პარტიის წინააღმდეგ ხმარებული, ერთი და იგივე არაა; მეორეც,—სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პოლიტიკური იდეოლოგია „ტერორის თეორიაზე“ არაა აგებული,—იგი აგებულია რევოლუციაზე და რევოლუცია კი ცოტათი განსხვავდება „მუშტისაგან“; მესამეც,—ამ პარტიის ვითომ „მუშტის“ მომხრეობა სრულიად არ მართლდება პრაქტიკულად. ჩვენ არ გვახსოვს არც ერთი მაგალითი, რომ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის კაცებს სადმე კრებებზე ან პროპაგანდის დროს ძალმომრეობა ეხმაროთ, ან სხვა პარტიის კაცებისათვის ლაპარაკის საშუალება მოესპოთ. ამის მიზეზი, ალბად, ის არის, რომ ამ პარტიის მეთაურები ზნეობრივ გავლენას ხმარობენ თავის ორგანიზაციის წევრებზე. ობიექტიური სიმართლე გვაიძულებს

---

*) რადგან დასახელებული მიტინგები შემთხვევით, მოულოდნელად გაიმართა, არსად არავითარი ტრიბუნა არ მოიპოვებოდა. ვინც კი ლაპარაკს მოისურვებდა, იმას უმალვე ხელს მახვევდნენ და მაღლა აიტაცებდნენ. ორატორი ასე ქანდაკებასავით გაკავებული ეჭირათ ხოლმე, ვიდრე იგი სიტყვას დააბოლოვებდა.

ჩვენ, ეს ფაქტი აღვნიშნოთ. პარტიულმა სიმპატიამ თუ ანტიპატიამ,—მომხრეობამ და მოწინააღმდეგობამ კაცს მსჯავრის სასწორი არ უნდა გადააქანებინოს და ხელი არ უნდა შეუშალოს—დასაგმობი მოვლენა დაჰგმოს, მიუხედავად პარტიისა და ამხანაგობისა.

ძალმომრეობა დასაგმობი საქციელია,—ეს ყველამ იცის, მაგრამ შემცდარია ბ-ნი კანდელი, როცა ამბობს, რომ „ამაზე ლაპარაკი გაზეთის ფურცლებზე ისეთივე წყლის ნაყვაა, როგორც მტკიცება იმისა, რომ ორჯერ ორი ოთხია და არა ოცთა თხუთმეტიო“. გაზეთი მოვალეა აღნიშნოს და დაჰგმოს ყოველი მოვლენა, რომელიც საზოგადოებაში წარმოსდგება და თავის თვისების მიხედვით გასაკიცხ-დასაგმობია. განსაკუთრებით საჭიროა ეს ჩვენში, სადაც ერთმანეთის პიროვნულ და მოქალაქობრივ უფლების ცნობა-შეგნება არაა მაინ-და-მაინც განმტკიცებული.

არავინ არ უნდა ცდილობდეს კამათის დროს თავის მახლობელი პარტიის რაიმე უსიამოვნო მოვლენის ზომა-სიდიდის შემცირებას და, პასუხის მგებლობის აცდენისათვის, გარეგნობით მაინც, ნიადაგის მომზადებას.

ჩვენის აზრით, ბ-ნ კადელის პრაქტიკული წინადადებაც, რომელიც საზოგადოდ მიტინგების გამართვის წესს შეეხება, არ შეიცავს ისეთ საშუალებას, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუწყოს პარტიულ სექტანტობისა და უკულტურო ფანატიზმის შემცირებას. ავტორი ამბობს, რომ მიტინგებს უნდა მართავდეს თითოეული პარტია თავისთვის, და ამიტომ სხვა და სხვა პარტიის კაცები ლაპარაკში არ უნდა ერეოდნენო. რასაკვირველია, არაა წესი, რომ ერთი პარტიისაგან მოწვეულ კრებაში ძალიად გაუთავებელი ლაპარაკი დაიწყონ სხვა პარტიის კაცებმა და კრების მომწვევთ პარტიული საქმე დაუშალონ ან დაუბრკოლონ. მაგრამ ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ, რომ თითოეულ პარტიის წევრები თავიანთ პარტიულ ლოკოკინაში ჩაძვრნენ და სხვების აზრ-შეხედულებანი არ გაიცნონ. ყოველ პარტიას მაშინ მიეცემა სიმკვიდრე, როცა მისი წევრები შეგნებულად ეკიდებიან სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს და სხვადასხვა პარტიების მოძღვრებას იცნობენ.

მაგრამ ამგვარი ცნობიერება არ გაძლიერდება და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა ერთმანეთთან მსჯელობა-კამათი არ მოხერხდება, თუ ყველამ არა სცნო საანბანო ჭეშმარიტებად, რომ სიტყვის თავისუფლება არსებობს ყველასთვის და არა მარტო ერთის რომელისამე პარტიისათვის.

პოლიცია და თავისუფლება.

ბედშავ საქართველოს ძველის რუსეთის ხელში არავითარი კეთილი არ უნახავს. კავშირის მაგიერ—გააბიაბრუეს, მეგობრობის მაგიერ—ვეროგული მტრობა გაუწიეს, დამშვიდების მაგიერ—ააწიოკეს და სიკეთის მაგიერ—სიმწარე და სამსალა ასვეს. ჩვენი ქვეყანა ჩაუვარდა ხელში თვითნება პოლიტიკანებს და გათახსირებულ ჩინოვნიკების სათარეშოდ შეიქმნა. სხვადასხვა ტოტლებენები, ლაზარევები, კრონრინგები, დონდუკოვები, გოლიცინები და მსგავსნი მათნი მართავდნენ ჩვენს ქვეყანას წარსულ საუკუნეში.

ერთად ერთი კაცი იყო ამ მოთარეშე ჩინოვნიკთა რიცხვში, რომელიც ასე თუ ისე, სახელმწიფო კაცსა ჰგავდა, პოლიტიკურ გამჭრიახობას მოკლებული არ იყო და უფრო ევროპიელ მმართველს ემსგავსებოდა. ეს იყო ვორონცოვი. რასაკვირველია, საზოგადოდ თუ შევხედავთ, ყველანი ერთის ჯურისა იყვნენ, მაგრამ თუ შევადარებთ ერთმანეთს, იმის უარისყოფა არ შეიძლება, რომ პირველი ვორონცოვი ყველაზე უფრო მაღლა იდგა, როგორც მმართველი ჩვენის ქვეყნისა. მართალია, „გარუსების პოლიტიკა“ არც მისთვის იყო უცხო, მართალია, ქართველ ერის გადაგვარებისათვის არც ის შეიწუხებდა თავს და ქართველ თავად-აზნაურობის ბედოვლათობითა და გულჩვილობით კარგად სარგებლობდა „დიდი მაგნატი“ რუსეთის პოლიტიკის აზრის მისაღწევად. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ უეჭველია, დონდუკოვესა და გოლიცინებთან შედარებით, ვორონცოვი შესანიშნავი მმართველი იყო და, მართლაც, სახელი ვორონცოვისა, როგორც ჩვენის ჟურნალ-გაზეთობისა და თეატრის მეცენატ-მფარველისა, ჩვენში დარჩა და დიდის პატივისცემითაც იხსენიება.

უტყუარი ისტორია ჩვენის წარსულის ცხოვრებისა უეჭველის საბუთებით გამოარკვევს, რა ჯურის მმართველი იყო თ. ვორონცოვი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, დღეს-დღეობით, ზეპირგადმოცემის მიხედვით მაინც, მისი სახელი დარჩენილია.

როდესაც ნამესტნიკად ახლანდელი, მეორე ვორონცოვი დაინიშნა, ზოგიერთ ნაწილს საზოგადოებისას, რომელიც ნიადაგ სხვისი შემყურებელი იყო, რაღაც იმედი მიეცა. ამ იმედში დიდი წილი ედვა პირველ ვორონცოვის ხსოვნას. ამიტომ ზოგნი ფიქრობდნენ, რომ კავკასიის მართვა-გამგეობის წესი შეიცვლებოდა და ეს შეცვლილი წესი მათ დონდუკოვებსა და გოლიცინებს დაავიწყებდა. თითქოს ზოგიერთი ნიშნებიც გამოჩნდა ამგვარ მოლოდინის საფუძვლიანობისა, ვინაიდან ნამესტნიკის თანაშემწედ დაინიშნა ბ. სულთან კრიმ-გირეი, რომელსაც დიდი თანაგრძნობა ჰქონდა დამსახურებული საზოგადოებაში.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქაც „მოიმედე“ ნაწილი საზოგადოებისა მოტყუებული დარჩა. ნამესტნიკს თან მოჰყვა ცერბერად გენერალი შირინკინი, რომელიც ტრეპოვის ჯურის გენერალია და სამართლიანი სახელი აქვს მოხვეჭილი რუსეთში. ამ გენერლის დანიშვნა საკმაო საბუთს იძლეოდა, რომ ჩვენის ქვეყნის ფაქტიური გამგე იქმნებოდა პოლიციის აგენტი, რომელიც ისე წარმართავდა საქმეს, როგორც შეჰფერის თვითმპყრობელობის პოლიციის აგენტის სახელს.

ეს ასეც მოხდა. პოლიციის უფროსმა გენერალმა თანდათან ჩაიგდო კლანჭებში მთელი მმართველობა. ერთის ხელით გენერალ-პოლიციელი სწერდა ისეთ „პროკლამაციებს“, რომლისთვისაც არა-პოლიციელს უსათუოდ ადმინისტრატიულის წესით დატუსაღება მოელოდა თვით გენერლისაგან, ხოლო მეორეს ხელით ჩუმჩუმად მუხრუჭს უჭერდა ყოველსავე ნასახს განმათავისუფლებელ მოძრაობისას. იმდენი უდანაშაულო სისხლი და ცრემლი იშვიათად დაღვრილა ჩვენს ქვეყანაში, რამდენიც ამ უკანასკნელ დროს დაიღვარა! და ბოლოს, 22 ოქტომბერს, პოლიციის მოღვაწეობა შესაფერად დაგვირგვინდა; ეს დღე იქმნება აწ საუკუნოდ დაუვიწყარი სახსოვარი რუსეთის თვითმპყრობელ რეჟიმისა ჩვენში; სახსოვარი, რომელიც საშვილიშვილო სურათად დარჩება ძველ წესწყობილების აგენტების მოქმედებისა; სახსოვარი, რომელიც იქმნება მაუწყებელი უსაზღვრო ზიზღისა წარსულის, აწ უკვე დაფლულის ძველ წესწყობილებისადმი, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები გენერალი შირინკინები იყვნენ და არიან.

ხალხს, რომლის ცხოვრებაშიაც შექმნილია ისეთი დღეები, როგორც 22 ოქტომბერი, არ შეუძლიან ეს დღეები დაივიწყოს, მას გვერდი აუხვიოს, გულ-გრილად შეხედოს. ამ დღის სისხლის ანადილი ჩვენის ცხოვრების მანათობელი ლამპარია, როგორც დასაწყისი განთიადისა, და მისივე თვალ-ბედითი შავი-ყორანი, გვამცნევს რომ „სიკვდილი ბადებს სიცოცხლეს“. ხალხს რა შეუძლიან ამ დღის შემქმნელებთან ერთად ისუნთქოს ერთი და იგივე ჰაერი, ერთისა და იმავე მიწის ნაკვეთზე იაროს მასთან. ამისთვის მიუცილებელია დღევანდელ მმართველების გადაყენება, ამ წუთშივე საქმიდან მოშორება.

გენერალი შირინკინი დღესვე დაუყოვნებლივ დათხოვნილ უნდა იქმნეს სამსახურიდან, თუ ნამესტნიკს სურს დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ იგი კეთილის განზრახვით არის მოსული ჩვენს ქვეყანაში. ამას თხოულობს ლოღიკა, გონიერება და ზნეობა; ამას თხოულობს მოვალეობა იმ სახელმწიფოს წინაშე, რომლის უმაღლეს წარმომადგენლად ამჟამად გრაფია ჩვენს ქვეყანაში და ამასვე თხოულობს მოვალეობა იმ ქვეყნის წინაშე, რომლის მართვა-გამგეობის საქმე გრაფს აქვს ჩაბარებული.

კ—ა.

გურია

როგორც იყო, გადავრჩით, მგონია, გურულები ამოჟლეტას. თავდადებულმა გამოსარჩლებამ ყველა კუთხისამ, მედგარმა პროტესტმა ამხანაგებისამ და ნამდვილმა გამორკვევამ გურიაში მომხდარ ამბებისამ მოგვამორა ჯერჯერობით: ორი მილიონი ტყვია სალდათებისა, ზარბაზნები არტილერიისა, სიმეცე კაზაკებისა და სისასტიკე გენერლებისა! მადლი და ნუ გაგებარდებათ! მაგრამ ამას თავი დავანებოთ ამჟამად და ამ თავისუფლად ამოსუნთქვის მერე (ისე ღმერთი ააშენებს თვითმპყრობელობის ლაქიებს) ცოტა რამ მოვიგონოთ ჩვენში მომხდარ ამბებიდან.

როცა გურიაში საერთო გაფიცვა გამოცხადდა და კერძოდ ქ. ოზურგეთი უდაბნოს დაემსგავსა, ცხოვრების მაჯის ცემა მიეუჩდა და უცბათ მოვწყდით ქვეყნიერობას, აქ დაბანაკებულ ჯარის უფროსმა ხალხის საყურადღებოდ სთქვა თურმე: „პლასტუნები კურინსკი პოლკი ნუ გგონიათო! აფიცრებმაც სასაცილოდ აიგდეს ჩვენი გაფიცვა: „თქვენ თუ გაიფიცენით, სწორედ დააქცევთ რუსეთის სახელმწიფოსაო“—ამბობდნენ ამ ქებულის ჯარის კომანდირები. მარა როცა „ცხოვრება გასჭირდა“, დაცინვა გაჯავრებაზე და ძალმომრეობაზე შესცვალეს. პოლიციამ და ჯარმა მაღაზიების ბოქლომებს გაუყარეს რკინის კეტები, დაამტვრიეს კარები და გაიტანეს, რაც უნდოდათ. ერთ კოლოფ პაპიროზისთვისაც კი ტეხდნენ მაღაზიას—ვითომ გასაჯავრებლად.

ეროთგვარი მიმდინარეობა გაფიცვის დღეებისა შეიცვალა 17 ოქტომბერს. ამ დღეს მოვიდა ამბავი ჩოხატაურში სტრაჟნიკების გაწყვეტისა და ბოქაულის ტყვედ წაყვანის შესახებ. ხალხმა ყურები ცქვიტა. პოლიცია შეფუცხუნდა. ამავე დღიდან გაიხსა „ჯაშუშთა სეზონი“, ამ დღეს ჩაუყარა საძირკველი მაზრის უფროსმა ლაზარენკომ თავის „ახალ მოღვაწეობას“. საწყალი ლაზარენკო! იყო დრო, რომ ის სხვებს უმტყუნებდა რეპრესიულ ზომებს; ეს იყო ცნობილ ტირანების ჯაფარიძე-ერეთლების მეფობის დროს გურიაში. მაშინ იყო, ლაზარენკომ „კარგი ნაჩალნიკის“ სახელი რომ დაიმსახურა ზოგიერთების თვალში! მარა ახლა? წყეულია, მაცდურია „პენსია“, მით უმეტეს, თუ ეს ზორბაა! მომხიბლველია: წარმატება-ხარისხი! და სამსახურიდან გადამდგარი ლაზარენკო ეწვია გურიას. მაგრამ რაც ენახა, ვეღარ ნახა, რაც დასტოვა, აღარ დახვდა: გურულები არ მიესალმნენ მას, არ გაეგნენ ფეხ-ქვეშ. წავიდა სოფლებში, არავინ არ დახვდა. გაფრენილა იგი „ტკბილი პოლიტიკით“ მოტყუილების დრო!.. და აჰა, მოხუცმა ლაზარენკომ იშოვა დრო და გამოსცა „მანიფესტი ახალი ტაქტიკისა“—აფრინა კაცნი მარდი, ფეხმალი ბათუმსა და ქუთაისს საჩქარო მიწერილობებით, რომ მიემველებინათ ყველა „ფრონტებიდან“ ჯარები ზარბაზნებით „აჯანყებულ“ გურულთა დასამორჩილებლად. ხოლო თვით შეჰყარა ლაშქარი და დაიძრა საომრად, რათა ჩოხატაურლები დაეტუქსა ამ „თავხედობისათვის“, აელო „ციხე წართმეული“ და გაეთავისუფლებინა ტყვეობიდან მოძმენი მისნი.

მაგრამ ხალხმა ძალას წინ ძალა დაუყენა და კუდ-ამოძუებულმა ლაზარენკომ მოჰკურცხლა თავისი ურდოთი და ანდაზა: „კარგი ჰქმენ, ქვაზე დასდე, გამოიარე წინ დაგვხვდებაო“, ასე შეუბრუნდა—„ავის ჰქმნა სხვისთვის უნდოდა, მას დახვდა ნასაკირალზე“. და ის იყო 20 ოქტომბერს საღამოს მთავრობის ჯარი და ხალხის მებრძოლი დრუჟინა ერთმანეთს ებრძვნა ნასაკირალის გორებთან—მოხდა უკვე ცნობილი და წოდებული „ნასაკირალსკი ბოი“.

თვითმპყრობლობასთან ამდენ ხანს მშვიდობიანის გზით მებრძოლი გურული, უნდა გენახათ, როგორ გააფთრებული ეცა ბიუროკრატიის დამცველებს, უნდა გენახათ ნესტოებ დაბერილი და თვალებიდან ცეცხლის მფრქვევით ბარიკადაზე მიმკვდარი გურული, როგორ თავგამოდებით ესროდა მტერს, უნდა გენახათ ის გურული, რომელსაც გადაგდებული ბომბა არ აუფეთქდა, და რომელიც ჩავიდა ამ საშინელი სროლის დროს ძირს, ამოიტანა, შეაკეთა და კვლავ უთავაზა მტერს, უნდა გენახათ მოხუცი გურული, რომელიც ვაჟკაცურის სიტყვებით ამხნევებდა, ისედაც გამხნევებულ, მებრძოლ ყმაწვილებს, უნდა გენახათ სამოცი წლის გურული დედაკაცი, რომელიც კაბა აოკაპიწებული მირბოდა თოფითა და პატრონებით ხელში, რომ იარაღი რაზმისათვის მიეცა, და მაშინ დარწმუნდებოდით, რომ გურულს თავისუფლება სიცოცხლესაც კი ურჩევნია!

ლაზარენკო თავისის ჯარით ძალზე დამარცხდა: მოუკვლელი და დაუჭრელი ჯარის-კაცები ტყე-ღრეში გადაცვივდნენ თავ-ზარ დაცემული. გურულ რაზმებს დარჩათ ბევრი ტყვე-იარაღი და გამარჯვების კრიმანჭულით გასწიეს თავიანთ სახლებისკენ... ლაზარენკო გადარჩა უვნებლად; მისდა ბედათ, შეტაკების დროს ხიდქვეშ მოიმწყვდა და მხოლოდ ორ დღე და ღამეს ნასაკირალის ღრე-ტყეში ერგო გორაობა. ხოლო მისმა ღვარძლმა გურულ ხალხისადმი მაინც გამოიღო ნაყოფი, მისმა შურისძიებით აღსავსე განზრახვამ მაინც იმუშავა. 22 ოქტომბერს, სოფლები ცეცხლითა და პლასტუნების სიმეცით ნადგურდებოდა თვით ბ-ნ ლაზარენკოს თანადასწრებით. მისი გული კმაყოფილებით სტკბებოდა, როცა ოთხმოცამდე გურულის ოფლითა და ტანჯვით გაკეთებული ოჯახი ინგრეოდა და ქონებას კაზაკები იტაცებდნენ, მის ყურებს საამოდ ჰქონდა სხვისთვის შემაძრწუნებელი გულის ამღვრევი წივილ-კივილი შეშინებულ და თავზარდაცემულ ქალებისა და ბავშვებისა, მის თვალებს საამო საცქერლად ჰქონდა, როცა ადამიანის საცხოვრებელ ბინებსა და სარჩო-საბადებელს ცეცხლში ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა... აქ არ გათავებულა მისი (ლაზარენკოს) გულისთქმა და განზრახვანი. მან იცოდა, რომ მის მიერ გაგზავნილი „უსტარნი“ რომელიმე მაინც მიაღწევდა ადგილს, და გულის ფანცქალით ელოდა, როგორც ის, ისე ძმანი მისნი ჯაშუშნი ამა ქვეყნისა, გათახსირებულნი პირნი და გარყვნილნი „სტოროჟები“ თვითმპყრობელობისა, იმ წამს, როცა გურიის ყოველ მხარეს დასჭექდა ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელი, როცა გამხეცებული ჯარისკაცები ხიშტებით ჰაერში ისვრიდნენ ძუძუ-მწოვარა ბავშვებს, როცა კაზაკები ხანჯლის წვერით აწამებდნენ დედაკაცებს და როცა ეს „ქვეყნის გამფუჭებელი“ გურულები მგლებისა და ტურების კერძად გახდებოდა. მაგრამ მოლოდინი აღარ გაუმართლდათ! ძალიანს კრეჭენ კბილებს და კვდებიან ჯავრით, მარა რაღაი! ლაზარენკოს და მის დამქაშებს ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში...

22 ოქტომბრის ღამის შემდეგ დამტკიცდა და მართლა სათქმელი იყო თურმე „ზდეს პლასტუნიო“. ამ ღამეს იშოვეს პლასტუნებმა დრო, რადგან ქალაქიდგან ბევრი იყო გახიზნული, და მიჰყვეს ხელი რბევას. რაზმებად დადიოდნენ და აღარაფერს აღარ სტოვებდნენ წაუღებელს. ბევრი მცხოვრები და ვაჭარი დასვეს ცარიელზე.

ჯარის-კაცები (პლასტუნები) ძალიან მტრულის თვალით უყურებენ ხალხს და ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ შეტაკება გამოიწვიონ. ოზურგეთის მცხოვრებლებს მოსვენება აღარ აქვთ მათგან. ყოველ ღამე ქურდობენ. სადაც მოიხელებენ შინაურ პირუტყვს ან ფრინველს, ჰკლავენ და მიაქვთ.

30 ოქტომბერს, როცა აქ სამხედრო წესები გამოაცხადეს, ღამით ვიღაცამ თოფი ისროლა ყაზარმასთან. შეიქნა ერთი ტრიალი, ჩამოცვივდნენ ოფიცრები და ჯარის კაცები ბაზარში და შეაზარეს ყველაფერი, ზოგი გაჩხრიკეს, ზოგს იჭერდნენ. შემდეგ, როგორც დამტკიცდა მთვრალ ჯარის-კაცს გაესროლა და ხალხს ტყუილად აბრალებდნენ!

თუმცა პირადობის ხელუხლებლობაა, მარა ოზურგეთის ქუჩებზე გულის ფანცქალით უნდა გაიარო—არ იცი როდის დაგეცემა თავს პლასტუნი. ჯარისა და ხალხის ერთად ცხოვრება შეუძლებელია და ერთ დღეს, შეიძლება, დიდი უბედურებაც დატრიალდეს, რასაც უსათუოდ ჯარის-კაცები გამოიწვევენ.

5 ნოემბერს ოზურგეთის ქალაქის საბჭომ სულთან-კრიმ-გირეისა და გუბერნატორს დეპეშა გაუგზავნა და შუამდგომლობა სთხოვა, რომ ეს ჯარი ქალაქიდან სხვაგან წაიყვანონ, რადგან ჯარის-კაცები ცდილობენ შეტაკების გამოწვევას და მცხოვრებთ ცარცვა-გლეჯით მოსვენებას არ აძლევენო. 6 ნოემბერს გუბერნატორის სტაროსელსკისაგან ქალაქის მოურავმა დეპეშა მიიღო: თქვენი თხოვნა პლასტუნების გაყვანის შესახებ შესრულებული იქნებაო.

გურულები ძალიან აღაფრთოვანა და გაახარა იმ თანაგრძნობამ და დახმარებამ, რასაც გაზეთებიდან ვტყობილობთ, და რაიც გამოიჩინა სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლის ხალხმა. „ხედავ, ბიჭო, რამდონი მომხმარე და შემწე გვყოლია თურმე, ცა და ქვეყანა ჩვენსკენ ყოფილაო“ ამბობენ სოფლელები.—„რაღაი, ძმავ, იგი სახლების წვაი რომ არ დაგვენებებია, მაშინ უფრო კაი ბიჭები ვიქნებოდით, მარა ამხანაგებმა არ დაგვანებეს და რაღაი ვქნათო“ ამბობენ სხვანი.

ჭინკაი.

სამხედრო წესები პოლონეთში

მთელს პოლონეთში სამხედრო წესები შემოიღეს, მაგრამ ფაქტიურად დღემდისაც პოლონეთში სამხედრო წესები არსებობდა. ადგილობრივ ადმინისტრაციას წინადაც შეუზღუდველი უფლებები ჰქონდა, პოლიტიკურ „დამნაშავეთ“ წინადაც სამხედრო სასამართლო ასამართლებდა. ახალ ხერხს პოლონეთის დამშვიდება არ შეუძლიან. ვარშავასა და ლოძში, დიდი ხანია, შემოიღეს სამხედრო წესები, მაგრამ არეულობამ არა თუ არ იკლო, პირიქით, იმატა კიდეც. მთავრობა თავის გამართლებას ცდილობს, მაგრამ თავის სასტიკ პოლიტიკას ვერაფრით ასაბუთებს. ქუჩებში ასი ათასი კაცი დემონსტრაციებს მართავსო, რუსულ ენას აღარ ხმარობენო და უკიდურესი პარტიები ავტონომიას თხოულობენო, მაგრამ განა ყველა ეს მხოლოდ გუშინ დაიწყო? მაშ რად მიჰმართა კონსტიტუციონალურ მთავრობამ იმ ზომას, რომელსაც არც ბულიგინი ხმარობდა და არც დიქტატორი ტრეპოვი? როგორც ვიცით, ახალმა მთავრობამ თავის ახალ პროგრამას საფუძვლად მოქალაქობრივი თავისუფლება და სახელმწიფოს მთლიანობა დაუდო. პირველმა მუხლმა, მათის აზრით, ლიბერალები უნდა დააკმაყოფილოს, ხოლო მეორემ—„პატრიოტები“. იმის თქმა, ვითომ ლიბერალებს რუსეთის დაქუცმაცება უნდოდეთ, რასაკვირველია სისულელეა. ლიბერალებისთვის ცხადია, რომ ყოველ ეროვნებას არსებობისა და განვითარების უფლება უნდა ჰქონდეს. მაგრამ ეს უფლება, მათის აზრით, სულაც არ ეწინააღმდეგება რუსეთის მთლიანობის დაცვას. ლიბერალებს უნდათ, რომ დამფუძნებელმა კრებამ ისეთნაირი ფორმები შეიმუშაოს განახლებულ რუსეთისთვის, რომ დაცულ იქმნას რუსეთის მთლიანობაც და ყოველ ეროვნების არსებობაც. ლიბერალები მხოლოდ მედგარ პროტესტს უცხადებენ იმ რეჟიმს, რომელიც ეროვნებას სულს უხუთავს და ამით სახელმწიფოსაც აუარებელ ზარალს აყენებს. ასეა თუ ისე, სახელმწიფოს მთლიანობის დაცვა მარტო „პატრიოტებმა“ იკისრეს და მთავრობამაც მათ გულის მოსაგებად თავის პროგრამას საფუძვლად რუსეთის მთლიანობა დაუდო. ჩვენც ვხედავთ, რომ სამინისტროს პროგრამის ეს მუხლი საოცარის სისწრაფითა და სისასტიკით ხორციელდება და ამავე დროს, მთელ რუსეთში ყოველ ნაბიჯზე ურცხვად სთელავენ მოქალაქობრივ თავისუფლებასაც და პიროვნების ელემენტარულ უფლებებსაც. დაუფარავად და ქვეყნის თვალწინ მთავრობის აგენტები მთელ ქალაქებს ანგრევენ და ავაზაკთა და მძარცველთა რაზმებს ადგენენ. მთავრობა კი ხელსაც არ ანძრევს, ავაზაკებს თავ-თავიანთ ადგილებზე სტოვებს და მხოლოდ ისეთ ოფიციალურ წერილებს სწერს, რომ კაცი ვერ გაიგებს, ვინ ვისგან იჭერს ამ წერილებს, „ნოვოე ვრემია“ მთავრობისგან, თუ მთავრობა „ნოვოე ვრემიასგან“. ერთის მხრივ აჩქარებული გამგეობა და სისასტიკე და, მეორე მხრივ შორიდან ცქერა და გულხელ დაკრებით ჯდომა ნათლად ამტკიცებს, რომ ვიტტეს სამინისტროს ძლიერი მახვილი უჭრავს უიარაღო ხალხს „დამშვიდების“ დროს და იმავე დროს უძლურია ფაქტიურ მთავრობისა და ავაზაკების წინაშე (ს. ო.).

ქართლის ამბები.

დიდი ჭირი და ვარამი გამოიარა გორის მაზრამ, მას შემდეგ, რაც ღენერალი ამილახორი ნამესტნიკმა დანიშნა ქართლის დასამშვიდებლად და თან დრაგუნ-კაზაკები გაატანა.

მთელ მაზრას ნაცარ-ტუტა ააღინეს: მრავალი წუთისოფელს გამოასალმეს, მრავალი დაატუსაღეს და სამშობლო ქვეყნიდან რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს, სოფლებში ეკზეკუციები ჩააყენეს, ხალხი სულ გაძარცვეს, და ქონება დაუნიავეს.

მე მოვიარე ამ მაზრის სოფლები და ჩემის თვალით ნახულსა და ჩემის ყურით გაგონილს თქვენც გიამბობთ.

გორის მაზრის დათვალიერება დავიწყე სადგურ კასპიდან.

მივედი თუ არა კასპში მითხრეს: გენო ამილახვარი მოჰკლესო.

თვით სოფელი გლეხებს აღარ ეკუთვნოდათ, იგი კაზაკებს დაესაკუთრებინათ და იქამდე გაბატონებულიყვნენ, რომ მათის შიშით ამ სოფელში უცხო კაცსაც კი არ ედგომინებოდა.

კასპიდან სოფ. ქვემო-ქალისკენ გავსწიე. შევედი თუ არა ამ სოფელში, დავინახე უშველებელი, ძვირფასი შენობა. მითხრეს ღენერალ ამილახორის სახლი არისო. დღეს კი უპატრონოდ და უბატონოდ არის მიტოვებული, მთელს ცხოვრებას მოურავები სჭამენ და პატრონები მოსვლას ვერა ჰბედავენო.

სოფ. ხურვალეთში მოჰკლეს ერთი აზნაური, ნათიშვილი,—და ერთიც გლეხი.

რა არის მიზეზი ამათი დახოცვისა, ვიკითხე.

ნათიშვილების ოჯახს ეწვია შავი რაზმის უსტაბაში ზუბიკო აბდუშელიშვილი თავისი დამქაშებითა, ამათი ცქერითა და ქცევით ხალხი აღელდა და ბოლოს ამ რაზმსა და გლეხ-კაცობის შორის შეტაკება მოხდა. ამ შეტაკებამ იმსხვერპლა გლეხკაცი. რასაკვირველია ამის შემდეგ არც ამ აზნაურებს დაუდგათ კარგი დღე. ამ მსხვერპლს მოჰყვა სხვა მსხვერპლიც, ე. ი. მოჰკლეს ზუბიკოს მოყვარეც.

აქედან გადავედი სოფ. მეჯვრის-ხევში. ამ სოფლის მისავალში ერთი სახლი დგას. ამ სახლზე მიმითითეს და მითხრეს: აქ დგანან ცნობილი აზნაურები თულაშვილები, რომლებიც თავადაზნაურთა შავ რაზმში [illegible] ახლა ეს რაზმი [illegible] კედლნენ „დრაგუნებს“ და მათის წყალობით ბევრმა ჩვენგანმა ციხეში თავი ამოჰყო. მოვიკითხე ამ სოფლის მებატონე ერისთავები: თავ. კონა ერისთავის შვილები სულ გაფანტულან, თავ. გიორგი (იგივე რუსეთუმე) ერისთავების შვილები თავიანთ წრეში გამოწყვეტილან, როგორც შავის რაზმის დამაარსებელნი და წევრნი, თუმცა კი ამ რაზმისთვის გაზეთებში ზიზღი გამოუცხადებიათ.

სოფ. ხელთუბანში სკოლა დაკეტილი დამხვდა; კაზაკებით იყო სავსე დაშინებული და განადგურებული სოფელი სამარესა გავდა. ერთი სახლის აივნიდან სიცილ-ხარხარი შემომესმა. ამ სახლში სცხოვრობენ თურმე აქაური მებატონე-ქალები და ამ ჟამად ეგზეკუციის აფიცრებს უმასპინძლდებოდნენ. მოვიკითხე სოფლის მასწავლებელი—იგი გადაუსახლებიათ შორეულ რუსეთში. გული მეტკინა და გორისკენ გამოვსწიე.

ამ ქალაქს ვეღარ იცნობთ, მთლად შეცვლილია. გზები აღარა აქვს, ქუჩები ავდრებისაგან წალეკილია. როგორც ეტყობა ქალაქისთვის აღარავისა სცალიან. მაზრის უფროსის მოადგილე გოგოხია და მაზრის მარშალი ბაგრატიონ დავითიშვილი სოფელ სოფელ დადიან, თან დაჰყავთ ორას სამასი კაზაკ-დრაგუნი და მთელ ქართლის გლეხებს შიშის ზარსა სცემენ, უნდათ ძალით დაამშვიდონ გონზე მოსული ქართლი.

ქუჩაში ერთი ჩემი ნაცნობი შემხვდა და შევეკითხე ამ ქალაქს პატრონი არა ჰყავს მეთქი!

— აი, პატრონებიო!—მიპასუხა და მომავალ კაზაკებზე მიმითითა. მოგვიახლოვდნენ ეს კაზაკები და გაისმა მათი რიხიანი ხმა: разойдись, чего торчишь!! ჩვენც „დიდკაცებს“ გზა მივეცით.

სოფ. რეხაში, ასიკო ერისთავს ვეწვიე, რომელსაც „ნაროდნიკს“ ეძახიან. ამ ერისთავს ამ ზაფხულ სახლი გადაუწვეს.

„თავად-აზნაურობას უნდა, რომ მეც გადავეკიდო გლეხობას და ჩემმა მტრებმა სახლი გადამიწვეს“—ღიმილით მითხრა ასიკომ და შემიპატიჟა.

სუფრაზე ერთი გლეხი შემოგვესწრო. ასიკომ გვერდზე მოისვა და ღვინო შესთავაზა. გლეხმა ჭიქა აიღო ხელში და სთქვა: „ასიკო, მარჯვენა მოსტყდეს ვინც შენ გადგწვა... ეს შენი პირადი მტრების საქმეა, მაგრამ ნუ შეშინდები, მთელმა გლეხობამ გარდავსწყვიტეთ, ამ მოკლე ხანში სახლი აგიშენოთო“.

რეხიდან სოფ. კარალეთისაკენ გავსწიე. ლიახვს გაღმა, მაღლობზე, დავინახე შენობა და კოშკი თავად გიორგი ოთარის ძის ამილახვრისა. ეს თავადი კარგა შეძლებული კაცია და დიდი პატივისცემაც ექნებოდა დამსახურებული, რომ ყარაულებათ ჩაჩან-ლეკები არ ჰყავდეს და შავ რაზმში არ ჩაწერილიყო.

შევედი სოფელ კარალეთში, დავინახე კარგი გამოძწვარი ვენახი. გავიგე, რომ ეს ვენახი ყოფილა თავად მიხეილ რევაზის ძის ერისთავისა, კიდევ ამიხსნეს, რომ ამ ერისთავს დიდი უსიამოვნება აქვს სოფლის გლეხებთან. ამ გლეხებმა ერთხელ იგრიალეს და ტფილისში მთავარმართებელთან ჩავიდნენ საჩივლელად: „ჩვენი ბატონი მამულს გვართმევს და არ გვანებებსო. ამათ დღემდის გამძიმება და უსიამოვნობას მათ შორის ბოლო არ ელება. ამ თავადს წელს ღალაზე ხელი აუღია უფრო იმისთვის, რომ გლეხებს არაფერი მიუციათ, და შემდეგისათვის, როცა საქმე გათავდება, უფრო მეტს გადავახდევინებო.

წავედი სოფელ ტყვიავში. ამ სოფლის წარმომადგენელთ ძველ „სოციალისტებს“ ეძახიან. აქა ცხოვრობს ხალხისთვის თავდადებულობით განთქმული გვარი—კეცხოველები. კეცხოველები ხუთნი ძმანი იყვნენ. ერთი ციხეში მოჰკლეს სალდათებმა, მეორეს საპატიმრო რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტეს და ჯერ-ჯერობით ციხეში ზის, მესამე ადმინისტრატიულის განკარგულებით რუსეთის შორეულ გუბერნიაში ხუთის წლით იქმნა გაგზავნილი.

ამ სოფლის მემამულეები და გლეხობა მშვიდობიანათ მორიგებულან. წინააღმდეგობა გაუწევია მხოლოდ თავ. მიხეილ ერისთავს. ღალა მიუციათ გლეხებს მეხუთედი და მემამულეებიც დაკმაყოფილებულან.

აქედან სოფელ ფლავის-მანში წავედი. აქაური მემამულეები სულ აყრილან: თავადი გრიგოლ კონსტანტინეს ძე ერისთავი, რომელსაც კაცი შემოაკვდა და შავს რაზმს, როგორც ოფიცერი „на плечо“ და „на караулъ“-ს ასწავლიდა, ახლა აქედან ტფილისში გადასახლებულა, გადასახლებულან სხვა ერისთავნიც.

სოფ. ტირძნისის დიდი მებატონე ივანე სულხანოვი, ამ ორი წლის წინად თავის მეზობელ ალ. ეგაძემ ხანჯლით გამოფაშვა ერთის მტკაველის მიწისათვის. მისი შვილი პოლიტეხნიკუმის სტუდენტი ნიკოლოოზ სულხანიშვილი კი ამ სოფლიდან სამზღვარ-გარეე გაპარულა. ამ ცნობილმა სტუდენტმა დიდი მეხანათობა ჩაიდინა და სოფელში აღარ ედგომინებოდა. სოფელი ნანობს, რომ იგი ცოცხალი წაუშვეს ხელიდან. ამჟამად სოფელში სოფლის კანცელარია აღარ არის.

სოფლის სკოლის კარები ღია დამხვდა და შიგ შეველ. მაგიდები ზედი-ზედ იდგნენ კუთხეში, წინ კათედრა იდგა და კათედრაზე დიდი წიგნები ეწყო. ავიღე ერთი წიგნი, გადავშალე და წავიკითხე: „Завѣдывающій—Скопецъ, служащіе Дубина, Ворона, Бейка“ და სხვ. ეს თურმე გვარები ყოფილა და [illegible] ამისთანა გვარი ეწერა. გადავშალე სხვა წიგნები

და იქიდან გავიგე, რომ სკოპეცი ყოფილა ეგზეკუციის ზედამხედველი აფიცერი, დუბინა, ვერონა, ბეიკა და სხვანი „დონსკოი“ კაზაკები. ეს რომ გავიგე, შიშით ტანში გამცრიალა და ფეცხლავ სკოლიდან გამოვედი. სკოლაში კაზაკებსა ჰქონიათ ბინა.

სოფ. ერგნეთში თავად ხერხეულიძეებს საქმე გლეხებთან მორიგებით გაუთავებიათ. ვერ მორიგებია გლეხებს მხოლოდ თავ. ივანე მიხეილის ძე მაჩაბელი და ამის შემდეგ იძულებული ყოფილა აბარგულიყო ამ სოფლიდან და ქ. ტფილისში გადასახლებულიყო. აქაური აზნაური ივანე ორჯონიკიძეც ვერ მორიგებია გლეხებს და გადასახლებულა სოფელ ტეზერში, სურამისაკენ. ამ სოფელში და ახლო-მახლო სოფლებში ჩამოუვლიათ წითელი რაზმის წევრებს და სუყველასთვის იარაღი წაურთმევიათ.

აქედან წავედი სოფელს არბოში, სადაც განთქმული დღეობა „გერისთობა“ იციან. ამ დღეობაზე თითქმის მთელი საქართველო იყრის ხოლმე ამ სოფელში თავს. წრეულს კი არავინ მოსულა.

მოძრაობაში ეს სოფელიც არ ჩამორჩა სხვა სოფლებს: ღალები არავის მისცეს, მიწის მზომელი გააგდეს და სხვ. აქ გავიგე რომ სოფელ კულბითში მოუკლავთ აზნაური ჩარქეზიშვილი, სოფელ ქსუისში აზნაური უთნელიშვილი. მიზეზი მათი დახოცვისა ყოფილა გლეხების წინააღმდეგობა. ამ სოფლიდან ავედი სოფ. ერედვში. ისე თქვენი მტერი იყოს მკითხველო, რა დღეშიაც აქაური თავადიშვილები—ფავლენიშვილები არიან. გლეხებისა ხომ წინააღმდეგნი არიან და ვერც ერთმანეთს ურიგდებიან. თავადებს ჰყარაულობენ კაზაკები. ღალას არავინ აძლევს მათ და მოუთმენლად ელიან გლეხთა წინააღმდეგ „მარშლის“ კომისიას. იმედიც კარგი საქონელია.

ყველაზე ანიავებული ს. ცხინვალი დამხვდა. სადაც გავიარე კაზაკი დავინახე, დრაგუნებსა და სტრაჟნიკებს ხო ფეხს ვერ უქცევდი. გზაზე ზარბაზნები იდგა, ხალხი შიშით და კანკალით მიდი-მოდიოდა. სკოლები, სასამართლო და ნოტარიუსის კანტორა დაკეტილია.

აქ დაუჭერიათ აპოლონ მაჩაბელი, როგორც შავი რაზმის წევრი. დაარსებულა წითელი რაზმი შავ რაზმთან საბრძოლველად. ამათ გამოჰკიდებია ადმინისტრაცია და მრავალი მათგანი დაუტუსაღებია. დაუჭერიათ ორმოცამდე კაცი. ცხინვალიდან კაზაკები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და იქაურობას იკლებდნენ. აიკლეს სოფლები: ზემონიქოზი (აქ კაციც მოჰკლეს უმიზეზოდ), ქვემონიქოზი, ფხვენისი, ზემო-ხვითი, ქვემო-ხვითი, საქაშეთი, ვარიანი, ყელ-ქცეული, დირბი, ბრეთი არადეთი, ურბნისი და სხვა.

ერგნელი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან

პეტერბურგი, 10. უნივერსიტეტის ახალი წესდება, რომელიც სამინისტრომ განსახილველად უნივერსიტეტებს დაუგზავნა, ავტონომიის პრინციპზეა დამყარებული. პროფესორები და ყველა თანამდებობის პირნი არჩეულ უნდა იყვნენ, მხოლოდ მინისტრმა უნდა დაამტკიცოს. უნივერსიტეტის თვითმართველობის ცენტრალურ ორგანოდ იქმნება საბჭო, რომელიც შესდგება ყველა პროფესორებისაგან, გარდა უმცროს მასწავლებლებისა. სასწავლო და ადმინისტრატიულ სამეურნეო მიმდინარე საქმეების გამგედ დაარსდება სენატი, რომელიც შესდგება რექტორისა, თანაშემწის დეკანისა და ყოველ ფაკულტეტის მიერ არჩეულ სამის პროფესორისაგან. სტუდენტების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გასარჩევად დაარსდება დისციპლინარული სასამართლო, რომელიც სენატს დაექვემდებარება. ფაკულტეტების კრება აირჩევს პროფესორებს. ექსტრაორდინარულ პროფესორისა და პრივატ-დოცენტისთვის საჭიროა მაგისტრის ხარისხი. ჯამაგირები მოემატებათ ჰონორარები გაუქმდება. უნივერსიტეტს გათავება არავითარ უფლებასა და უპირატესობას არ აძლევს. სტუდენტებს ნება ეძლევათ, შეადგინონ უნივერსიტეტში საზოგადოებანი და წრეები სამეცნიერო მიზნით და გამართონ კრებები სამოსწავლო საკითხების განსახილველად, უნივერსიტეტის გარედ მიიღონ მონაწილეობა ყველა ორგანიზაციებსა და კრებებში ყველა მოქალაქეთა საერთო კანონების ძალით. უნივერსიტეტის საქმეებში სამოსწავლო ოლქის მზრუნველი აღარ ჩაერევა.

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

ბ-ნო რედაქტორო! ეს ჩემი წვლილი, ხუთი მანეთი, მიიღეთ განმათავისუფლებელ მოძრაობის სათავეში მდგომთა, ჯარებისაგან დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ.

სოფ. ხოვლეს მასწავლებელი ქალი
ალექსანდრა ხახაშვილისა.

წინად მიღებულთან ერთად რედაქციას აქვს 689 მან. 01 კაპ.

ახალი ამბავი

დღეს, 12 ნოემბერს, ნაშუადღევის ორ საათზე, დანიშნულია **ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება.** სხვა საყურადღებო კითხვათა შორის, განსახილველია ხმ. სვეშნიკოვის ორი განცხადება ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიის საჭიროებისა და კაზაკთა და ჯარის კაცთა მიერ აკლებულ გურულების სასარგებლოდ ფულის გადადების შესახებ.

◆ გუშინ-წინ **გაიფიცნენ ტფილისის თერძებისა და ხარაზების ქარგლები,** რადგანაც ალებმა ცივი უარი განაცხადეს გაფიცვის დღეების ხელფასის მიცემაზე. გუშინ გაფიცულებს კრება უნდა მოეხდინათ ანანოვის ქარვასლაში ამ საქმის თაობაზე მოსალაპარაკებლად და ალების დასათანხმებლად საჭირო ღონისძიებათა მისაღებად, მაგრამ, რადგანაც არ გამოცხადდნენ თვითონ ალები და ზოგიერთი ქარგალ-ხელოსნები, ამიტომ კრება გადაიდო დღეისთვის და ალებს დაბეჯითებითი წინადადება მისცეს, კრებას უთუოდ ყველანი დაესწარითო.

◆ კვირას, 13 ნოემბერს, **ვერაზე მიტინგს ჰმართავს** რუს. სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის, ეგრედ წოდებულ, „მეუმრავლესეთა“ ფრაქციის ტფილისის კომიტეტი.

◆ კვირასვე, 13 ნოემბერს, ნაძალადევში გაიმართება **სახალხო მიტინგი** რუს. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის, ეგრედ წოდებულ, „მეუმცირესეთა“ ფრაქციისა.

◆ ახალი ქართული **ყოველდღიური გამოცემა ,,პატარა გაზეთი'',** რომლის გამოცემის ნებართვაც ბ-ნმა პ. მირიანაშვილმა აიღო, გადავიდა ქართული სცენის მსახიობის ბ-ნ კ. ს მესხის ხელში, ხოლო რედაქტორად კი ჯერჯერობით ისევ პ. მირიანაშვილი დარჩება. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, პირველი ნომერი ,,პატარა გაზეთი''სა შობა დღეს გამოვა.

◆ თამამშევის ქარვასლის ერთის ნოქრის თაოსნობით, ამჟამად ვაჭრებს შორის **ფული გროვდება** დახოცილ და გადამწვარ გურულთა სასარგებლოდ. როგორც გავიგეთ, ამავე საგნისათვის ფულს აგროვებს აგრეთვე ტფილისის მაჰმადიან მცხოვრებთა ერთი ნაწილი.

◆ გუშინ, 11 ნოემბერს, თათართა სასაფლაოზე, **მაჰმადიანთა მიტინგი აღარ გაიმართა,** რადგან ხალხი ნაკლებად დაესწრო. მიტინგი გადაიდო 16 ნოემბრისათვის. ტფილისის პოლიცმეისტერმა მაჰმადიანებს სთხოვა, 16 ნოემბერს მეძავ ქალთა სადგურების შესახებ საგანს ნუღარ განიხილავთ, რადგან საგუბერნიო გამგეობა ამ საგანს ჩქარა გადასწყვეტავსო.

◆ ტფილისის **საადრესო სტოლის მოსამსახურენი ცუდს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ,** რადგან პოლიცმეისტერმა გამოუცხადა: საადრესო სტოლს ვაუქმებთ და თქვენ თავისუფალნი ხართო. მოსამსახურეებმა გუშინ ქალაქის მოურავს სთხოვეს, სამუშაო გვიშოვე ქალაქის თვითმმართველობაშიო.

◆ ორის დღის წინად ტყვიით დაჭრილი ბ-ნი **ნიკ. ხიზანაშვილი ამჟამად კარგად არის.** ჭრილობებიდან ტყვიები ამოაცალეს. მარჯვენა ხელის ნიდაყვი დაჩეჩქვილი აქვს და ჯერჯერობით თავისუფლად ვერა ხმარობს.

◆ 9 ნოემბერს, საღამოთი, ტფ. სამეურნეო კრედიტის საზოგადოების სადგომში **მოხდა კერძო კრება ი. ს. გოგებაშვილის წინადადების განსახილველად,** ე. ი. იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს საქმე განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაზარალებულთა შესაწევარ ფონდისა. კრებამ დაადგინა, დაარსდეს ყველა ქართულ დაწესებულების წარმომადგენელთა ბიურო, რომელიც უნდა გაუძღვეს როგორც ფონდის გაძლიერების საქმეს, ისე დაზარალებულთა შორის შემოწირულებათა განაწილებას. ბიუროს ექმნება განყოფილებანი ქუთაისსა, ბათუმსა, თელავსა, სიღნაღსა და სხვა ადგილებში. ამჟამად გურულების დასახმარებლად შემოწირულებანი გაეგზავნება ბიუროს, რომელიც ფულს დანიშნულს მიზანს მოახმარებს. ბიუროში წარმომადგენლები უნდა აირჩიონ შემდეგმა დაწესებულებებმა. „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“, რედაქციებმა: —,,ცნობის ფურც.'' ,,ივერიის'', ,,მოგზაურის'', „მოამბის'', ,,ჯეჯილის'', ,,ნაკადულის'', „ვოზროჟდ.''-სა, ქართულ დრამატიულმა საზოგადოებამ, ტფილისის სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებამ, ტფ. სათავად-აზნ. ბანკმა, ქართველ ქალთა კავშირმა, ქართულ კერძო გიმნაზიამ, ს.-რევოლუციონერებმა, ს. ფედერალისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა, თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულომ, ქართველ პედაგოგთა კავშირმა, ქართველ სამღვდელოებამ, ქართველ გამომცემელ საზოგადოებამ, გამომცემელმა საზოგადოებამ „ცისკარმა'' და ,,კახეთის'' მემამულეთა ამხანაგობამ. ბიუროში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ინიციატორი ფონდის დაარსების საქმისა ი. ს. გოგებაშვილი. ყველა ეს დაწესებულებანი თავიანთ წარმომადგენელთ აირჩევენ საქმის ორგანიზაციის შესახებ მოსალაპარაკებლად. ბიუროს პირველი კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 16 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო კრედიტის საზოგადოების სადგომში. (ცნ. ფ.).

◆ გუშინ, 11 ნოემბერს, ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში, ბ-ნ გამყრელიძის განკარგულებით, **გადახდილ იქმნა პანაშვიდი 22 ოქტომბერს** დახოცილ გიმნაზიელთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ მასწავლებელ-მოსწავლენი. პანაშვიდის შემდეგ სწავლა დაიწყო მოსამზადებელ კლასში. რადგან შენობა მოუწყობელია, სწავლა სხვა კლასებში არ დაიწყება ჯერჯერობით.

◆ ბ. ს. ესაძეს, როგორც სამხედრო სამსახურში მყოფს, **მთავრობამ ნება არ დართო** გაზეთ „კავკ. კრაი“-ის რედაქტორად დარჩენისა; ამიტომ ბ-ნი ესაძე ხელის მომწერლებს შემოტანილ ფულს უკან უგზავნის, გაზეთი კი სხვის ხელში გადავა.

◆ ტფილისის მოხელეთა მიტინგმა დაადგინა, მოსთხოვოს სახაზინო პალატის უფროსს მიხაილოვს, რომ მოხელე ნევეროვიჩი, რომელიც თავისუფალ სიტყვისათვის სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა, უკან მიიღოს. მიხაილოვმა ეს მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა. ამ საქმის გამო ხელმეორედ ჰქონდათ **კრება სახაზინო პალატის მოხელეებს** და მიხაილოვს მოთხოვნილება გაუმეორეს, მაგრამ მიხაილოვმა კიდევ უარი უთხრა, რადგან ნევეროვიჩი თავისუფალ სიტყვისათვის კი არ დავითხოვე, არამედ იმიტომ, რომ მე სიტყვით შეურაცხყოფა მომაყენაო. მოხელეებმა გადასწყვიტეს, ეს ამბავი ტფილისის მოხელეთა ბიუროს აცნობონ.

◆ ტფილისის ქუჩებში ყოველ დღე დაიარებიან **მთვრალი ჯარის კაცები,** რომელნიც გამვლელ-გამომვლელს შეურაცხყოფას აყენებენ. ღამღამობით კი ხალხის ცემასაც არ ერიდებიან.

◆ გუშინ, 11 ნოემბერს, დილის 10 საათზე, **ორმა კაზაკმა მეექვსე საპოლიციო უბანში სცემა ერთ სომეხს,** რომელმაც კაზაკებს უფასოდ ხილი არ აჭამა.

◆ ტფილისის ზოგიერთ **საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში მეცადინეობა დაიწყო.** დაბალ კლასებიდან, ჰფიქრობენ, სხვა კლასებშიაც დაიწყონ რიგ-რიგობით. ქალების პირველ გიმნაზიაში ყველა კლასებში მეცადინეობა დაიწყო.

◆ „სასულიერო მოამბის“ ახალმა რედაქციამ აღმოაჩინა, რომ ძველს რედაქციას—ცნობილ **ვოსტორგოვსა და ი. გრეკოვს—დიდძალი ფული გაუფლანგავს,** რომელიც სამღვდელოებას ეკუთვნოდა.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ი. გრეკოვი, რომელმაც ექსარხოსს აუწერა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და საზოგადოდ მთელის ქუთაისის გუბერნიის მდგომარეობა. გრეკოვის აზრით, საჭიროა ქუთაისის გუბერნიაში ხელმეორედ შემოღებულ იქმნეს **საომარ დროის წესები.**

◆ ბორჩალოს მაზრის უფროსად ნამყოფი კ. ზ. შანშიევი **ტფილისის მაზრის უფროსის** თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნაკი თ. ჟორდანიასი, რომელიც ისტორიულ ცნობებს შეიცავს **საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის** შესახებ და სათაურად აქვს: „Краткія историческія свѣдѣнія объ автокеѳаліи грузинской церкви“. წიგნაკი გამოცემულია ქუთაისში, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის განკარგულებით.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი **„მრეწველობის განვითარება“,** გამოცემა ს. ქელიძისა. წიგნი 88 გვერდს შეიცავს და ღირს 15 კაპ. წიგნზე ავტორის ვინაობა არ არის აღნიშნული.

◆ გუშინ-წინ, 10 ნოემბერს, საღამოთი, მეექვსე საპოლიციო უბანში ჯარის კაცებმა უწესოება მოახდინეს. საქმე ასე იყო: ოცამდე მთვრალი ჯარის კაცი ჯერ მეძავ ქალთა სადგურში შევიდა, იქაურობა შეანგრ-მოანგრია და შემდეგ ახლო-მახლო მყოფ ხალხს ცემა დაუწყო, რამდენიმე დუქნიდან გამოიტანეს კალბასი, პაპიროსი და ვაჭრებს მაგრად სცემეს, ორი ვაჭარი—ზურაბიანცი და უტიაშვილი, დანით დასჭრეს. ერთი ჯარის კაცი შეიპყრეს და საპოლიციო უბანში გადასცეს, მაგრამ განთავისუფლებულ იქმნა. ზურაბიანცი იმდენად არის დაშავებული, რომ აღარ ახსოვს, რომელი პოლკის ჯარის კაცები იყვნენ. უტიაშვილი კი ამბობს, მინგრელსკი პოლკიდან იყვნენ და განსაკუთრებით სათადარიგო ჯარის კაცები, რადგან დიდი წვერები ჰქონდათო. უწესოების დროს პოლიცია არა სჩანდა, ხოლო, როცა ყველაფერი გათავდა, მოვიდნენ და გამოძიება დაიწყეს. შეშინებულმა მცხოვრებლებმა სახლები ჩაიკეტეს. დუქნები, ვინც მოასწრო, დაჰკეტა. მცხოვრებლები საჩივრის აღძვრას აპირობენ, რადგან ამ უბანში მთვრალი ჯარის კაცები თითქმის ყოველ დღე უწესოებას ახდენენ.

◆ ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება [illegible] დაინიშნა. ჯერ [illegible] საათი არ იქმნებოდა, რომ საბჭოს დარბაზი ხალხით გაიჭედა. მიზეზი ხალხის მოსვლისა იყო ის, რომ ხმოსნებს ამ კრებაზე უნდა განეხილათ საყურადღებო საგანი—ტფილისში მცხოვრებთა დამცველი მილიციის დაარსების შესახებ. ცხრის ნახევარი გახდა, რომ ხმა გავრცელდა, კრება უნდა გადაიდოსო. ჩქარა ქალაქის მოურავიც შემოვიდა დარბაზში და შეკრებილებს გამოუცხადა: კრება გადაიდო, რადგან ხმა მოვიდა, საბჭოს დარბაზს ვიღაცეები თავზე დაცემას უპირებენო. გარეშეებმა ყვირილი ასტეხეს: ეგ ძალიან მოიგონეთ, ჩვენი თავიდან მოშორება გინდათო, მაგრამ სხვა ხმოსნებმა დაარწმუნეს, რომ ასეთი ხმები მოვიდა. ქალაქის მოურავი დაჰპირდა დამსწრეთ: როცა მეორე კრებას დავნიშნავთ, ყოველგვარ ღონეს ვიხმართ, რომ შიში აღარავისგან მოგველოდესო. ხალხი დაიშალა. დარბაზში რამდენიმე ხმოსანი, სოციალ-დემოკრატი და სოც.-რევოლუციონერი დარჩა, რომელთაც ახლანდელ ბრძოლის ტაქტიკაზე ღამის პირველ საათამდე ითათბირეს.

◆ სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამაგალითო სკოლაში მასწავლებელმა მ. [illegible] ცქიტიშვილმა, რექტორის წინადადებით, მეცადინეობა დაიწყო.

◆ **დ. ხონიდან გვწერენ:** ხონის მოსწავლე ახალგაზდობამ, რიცხვით 1500-მა კაცმა, თავი მოიყარა და დაჰგმო 22 ოქტომბრის სისხლის ღვრის მომხდენნი, ხოლო მსხვერპლებს თანაგრძნობა გამოუცხადა გაფიცვის დაწყებით.

ხალხის აკლება სალდათებისაგან.

ხაშური. ორშაბათს, 9 ნოემბერს საღამოს, საათის 6-ზე; ორჯელ ზედიზედ გაისმა თოფის სროლის ხმა. ერთი ტყვია მოხვდა სადგურის მოდარაჯე სალდათების ვაგონის კარს და მეორე ფანჯარას. გამხეცებული სალდათები გამოცვივდნენ და უწყალოდ ასტეხეს სროლა, რასაც ისეთი შემაძრწუნებელი შედეგი მოჰყვა, რომ ხაშურს, მგონი, ჯერ არ გამოუცდია. ისროდნენ განუწყვეტლივ, დაუთვლელად, ხანგრძლივ. ისროდნენ ყველგან, ყოველ მხრივ და მთელ დაბას შიშის ზარსა სცემდნენ.

მართალია, მოკლული არავინ არის, მაგრამ ისეთი ამბები მოხდა, რომ სიკვდილს უდრის. ბევრს მანდილოსანს შიშით მუცელი წაუხდა და ბევრიც კინაღამ ჭკუაზე არ შეცდა. სხვათა შორის, ასეთი შემთხვევაც მოხდა. პირველ კლასის სადგურის ბუფეტის პატრონს ვლად. ჩიქოვანის ოჯახში, როცა გარედან ზალპი მისცეს და რამდენიმე ხიშტიანმა სალდათმაც დააპირა შიგ შეცვივნა, ბ-ნ ჩიქოვანს ბუფეტში გული წაუვიდა, ცოლი კი, ძუძუმწოვარა ბავშვით, გადაუდგა სალდათებს და შესთხოვა: „თუ გინდ მე მომკალით, ხოლო ბავშვი არ მომიკლათო. სალდათებმა მართალია, მათ ხელი აღარ ახლეს, მაგრამ იქაურობა კი მთლად დაანგრიეს და დალეწეს.

სროლით დაშინებულ ბაზრის ხალხმა მიანება დუქნებს თავი, და ზოგი სად სარდაფში და ზოგიც საკუჭნაოში მიიმალა—უპატრონოდ დატოვებული დუქნები კი სალდათებმა აიკლეს, დაარბიეს. ზარალი დიდია.

მეორე დილით სადგურთან შეიკრიბა ხალხი და მოიწვია ადგილობრივ ფოსტის უფროსი ნოვიცკი, რომლის მითომ გაძარცვითაც იყო გამოწვეული ეს უბედურობა და რომელმაც აგრეთვე სამის დღის წინად სთქვა: ნახეთ თუ ხაშურშიც სროლა არ ატყდესო. ამან კრებას გამოუცხადა: წუხელ მე ოთხი შეიარაღებული გურული დამეცა, მოინდომეს ჩემი მოკვლა და გაძარცვა, მაგრამ ოთხივე თოფით მოვიგერიე და გავაქციეო. ცხადია რომ იგი ტყუის, რადგანაც ასეთი მოხუცი და ლაჩარი კაცი ოთხს კი არა, ერ-

ფელეტონი

რომი.

რაღაც გამოურკვეველი აღტაცება იპყრობს ყველა იმას, რომელიც პირველად უახლოვდება დიდებულ რომს, ამ სახელგანთქმულ ქალაქს, რომელიც ორის საუკუნის განმავლობაში გული იყო მთელის განათლებულის კაცობრიობისა.

— აი რომიც! თავისდა უნებურად იძახის აღფრთოვანებული მგზავრი, როდესაც უახლოვდება ამ დიდებულ ქალაქს და შორიდან ხედავს წმ. პეტრეს ტაძრის გუმბათს, ამწვანებულ მწვერვალებს შვიდის გორაკისას და ზღვად ქცეულ შენობებს.

გამოდიხართ თუ არა სადგურიდან, თქვენ თვალთა წინ იშლება არა ძველი საუკუნო ქალაქი, არამედ ახალი, კოპწია რომი, თანამედროვე ცხოვრებით აბობოქრებული. უზარმაზარი შენობები მშვენიერის შადრევნებით შემკული, ფართო და ლამაზი ქუჩები მდიდრულის სახლებით—აი, პირველი სურათი რომისა. მაგრამ მალე გადადიხართ ქალაქის ძველ ნაწილში. აქ თქვენ ხედავთ ძველ სასახლეებს, ეკლესიებს, ვიწრო ქუჩებს, ნანგრევებს. აქ უკვე ძველი სული ტრიალებს, მაგრამ აქაურ ქუჩებზედაც ისეთივე მოძრაობაა, როგორც რომის ახალ ნაწილში და გავიწყდება, რომ შენს აქეთ-იქით ასწლოვანი სახლები გამოიყურება.

დიახ, რომში ყველგან სდუღს ახალი ცხოვრება და თუ გინდა ძველი ცხოვრება და სიწყნარე განიცადო, უნდა ეძებო იგი ქალაქის განაპირა ადგილებში. მაგრამ რომის ახალი ცხოვრებაც დიდად საყურადღებოა და ვისაც უყვარს ხელოვნება, ვისაც აფრთოვანებს ტურფა ბუნების ნახვა, მას შეუძლია დილიდან საღამომდე დასტკბეს ყოველგვარის სიმშვენიერით. ტიპი რომაელისა ლამაზი, ახოვანი და წარმოსადეგია. გარეგნობას დიდ მნიშვნელობას აძლევენ და ამიტომ რომაელი ქუჩაში ყოველთვის გამოწყობილი, სუფთად ჩაცმული გამოდის. ქალები ხომ ძალზე მორთულები არიან. ისიც კი უნდა ითქვას, რომ რომაელი ბანოვანნი უფრო სადა ტანისამოსს ეტანებიან. ბევრი შავ-თვალა რომაელი კეკლუცი სულ შავებშია გამოწყობილი და მე ჩემ დღეში არ მინახავს მათზე ტურფა, მოყვანილი და კეკლუცი ქალები. გარეგნობით რომაელი ქალი მეტის-მეტი დინჯი და მიუკარებელი გეგონებათ, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობით. საქმით ისინი მეტის-მეტი მხიარული, ენა-მეტყველი და თავაზიანნი არიან.

როგორც ყველა სამხრეთის ხალხი, რომაელებიც მოძრავნი არიან, უყვართ საზოგადოება, მხიარულობა, ცეკვა-თამაში და ცოტა ჩხუბიც. ყავახანები, რესტორანები, ბაღები და გასართობი ადგილები ყოველთვის სავსეა ხოლმე და ეს ამოდენა ხალხი არა თუ ხმაურობს, მღერის და უსტვენს კიდეც. ბაყალი თუ მეთევზე, მეწვრილმანე თუ ძველი ტანისამოსებით მოვაჭრე, ყველა ენად არის გაკრეფილი და ისეთის ხოტბა-დიდებით იხსენიებს თავის საქონელს, რომ ძალაუნებურად შეჩერდები და ყურს დაუგდებ მის ენა-მახვილობას.

ერთი ახალგაზდა მებულქე, რომელსაც მშვენიერი და სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ყოველ დილით გამოივლიდა ხოლმე ჩემის ბინის ფანჯრებს წინ და გულ-წარმტაცად მღეროდა: „საყვარელო, ტურფა დიასახლისებო, გამოიხედეთ გარეთ, დამანახვეთ თქვენი კეკლუცი სახეები და იყიდეთ ჩემგან გემრიელი ბულქები“, მაგრამ განა მარტო ამ სიტყვებს ჩაიმღეროდა? ვინ მოსთვლის რა ლამაზ ლამაზ სიტყვებს არ ჩააქსოვდა ხოლმე თავის სიმღერაში ეს ენა-მჭევრი მებულქე!

რომის ხალხოსნური ცხოვრება მეტის-მეტად მრავალფეროვანი, ჭრელი და მხიარულია. მთელი დღეები დავდიოდი ხოლმე ქალაქის განაპირა ადგილებში და დიდის სიამოვნებით ვათვალიერებდი ყავახანებს, ბაღებს, დუქნებს. ხალხის ეს შესაკრები ადგილები გარეგნობით ჰუჭყიანები გეჩვენებათ, მაგრამ როცა შიგ შედიხართ თქვენ ყოველთვის დაგიხვდებათ სუფთად მოწყობილი ოთახი და მუდამ მოღიმარი, მხიარული მასპინძელი.

რომაელი გლეხის სახლიც კი მინახავს, ერთ-ერთი ოთახი მაინც ძალზე სუფთად ჰქონია მოწყობილი. ოთახში დგას სუფთა ავეჯი, შუშის კარებიანი შკაფი——ჭურჭლით სავსე, კედლებზე ჩამოკიდებულია რამდენიმე სურათი, აქვეა ერთი რომელიმე დასაკრავი, ნოტები, წიგნები და სუფთა ფარდები. ფლორენციის მახლობლად მე ვცხოვრობდი ერთის გლეხისას, გარდა ამისა ხშირად დავდიოდი ახლო-მახლო სოფლებშიაც, ვესწრებოდი ქორწილებს, ნათლობებს, ქელეხებს, ვენახში მუშაობას და ძრიელ კარგადაც გავიცანი იქაური გლეხის ყოფა-ცხოვრება. მე შევამჩნიე რომ იტალიელი გლეხი საკმაოდ ხელმომჭირნეა და იცის თავისი მოთხოვნილებათა გაზომიერება. იგი სტუმრების გულისათვის თავის დღეში ვალს არ აიღებს. იტალიელი გლეხი, მაინცა და მაინც, სტუმართ მოყვარეც არ არის. ხელმოკლეობა ნებას არ აძლევს ხელ-გაშლით მოიქცეს. და სტუმრების გამოისობით თავის ოჯახს დააკლოს რამე.. კვირაობით, როდესაც სტუმრიანობას გამართავენ ხოლმე, ქალებს უმასპინძლდებიან ყავითა და პურით, ხოლო ვაჟებს ერთის ბოთლი ღვინით—ეს არის მთელი მათი მასპინძლობა. და თითოეული მათგანიც კმაყოფილი რჩება, რადგანაც ყველა ასე იქცევა და თავს ნებას არ აძლევენ მეორე ხარჯში შეიყვანონ.

იტალიელი გლეხის მთელი ყურადღება მიპყრობილია თავის სახლ-კარზე. ეკონომიური პირობები გლეხთა ცხოვრებისა ისეთი სასტიკნი არიან, რომ თუ გლეხმა განუწყვეტლივ არ იშრომა მამული ხელიდან ადვილად გამოეცლება და მშრალზე დარჩება. იტალიელს ძალიან უყვარს თავისი სამშობლო და თუმცა გარემოება და ეკონომიური შევიწროება ათასობით ერეკება იტალიელებს სხვა ქვეყნებში სამუშაოზე, მაგრამ საზღვარ გარედაც სულ ამის ცდაში არიან, რომ ფული მოაგროვონ და მერე სამშობლოში ერთი ნაჭერი მიწა იყიდონ.

თვით რომსაც ეტყობა, რომ იტალიის ხალხი დიდის გაჭირვებით ცხოვრობს. არამც თუ მოზრდილები თვით პაწია ბავშვებიც კი ათასობით სტოვებენ სოფლებს და ქალაქს ეტანებიან, რომ წვრილმანის სყიდვით თავი როგორმე დაირჩინონ. საზოგადოდ კი რომი მდიდარ ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს. ამ ქალაქში მთელის წლობით სცხოვრობენ ხოლმე მდიდარი უცხოელები, ხარჯვენ აუარებელ ფულს და მით ქალაქის კეთილ დღეობას ხელს უწყობენ. უცხოელთაგან იტალიის უფრო ინგლისელები, გერმანელები და ამერიკელები ეტანებიან. ძველი, დიდებული ქალაქი დიდ საზრდოს აძლევს მათ ჭკუა გონებას.

შვიდ გორაკზე გაშენებული ქალაქი, ძველისძველი სასახლეები, აუარებელი ეკლესიები, მორთული ბაღები—და ნამეტნავად სამხრეთის მშვენიერი ცა,—რომს საოცნებოთა ჰყოფს. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი და საოცნებო პინჩიოს მთაა. ამ მთის ქედზე გაშენებულია მშვენიერი ბაღი და იქიდან მთელი რომი ხელის გულზე გეშლებათ. აუარებელი ხალხი მოდის ამ მთაზე ცისმარე დღეს და ბუნების სიმშვენიერით დამტკბარნი საოცნებოდ გადაჰყურებენ მათ ფეხთა ქვეშე გადაშლილ დიდებულ ქალაქს, ათასის წლებით შექმნილ ხელოვნების ნაშთებს. თითოეული მათგანი საოცნებო და საარაკოა, მაგრამ მათ გვირგვინად ედგმის დიდებული ტაძარი წმ. პეტრესი, ეს მსოფლიო საკვირველება ხელოვნებისა. მარტო მიქელ ანჯელო და სანგალლო არა ყოფილან გენიოსები, გენიოსებივე არიან დანარჩენი მხატვრებიც, რომელთაც ეს ტაძარი გაამშვენიერეს. სამასი წლის განმავლობაში ამშვენიერებდნენ ამ ტაძარს და იმის და მიუხედავად რომ ამავე დროის განმავლობაში, იტალიელებმა ბევრი სისხლი დაღვარეს გარეულ თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში, შემოქმედებითი ნიჭი იტალიელთა მაინც არ დახშულა, და სწორედ ამ თვისების მეოხებით იტალიელები შეიქმნენ დიდებულნი და საკაცობრიო კულტურის უპირველესი თანამოზიარენი. ამიტომ კაცობრიობაც არ ივიწყებს ამ მადლიან ხალხს. თითქოს მლოცველები არიანო, ათი ათასობით მოდის რომში უცხოელი ხელოვნების სანახავად და აუარებელ ფულს ხარჯავს. იტალიელ სტატისტიკოსების გამოანგარიშებით უცხოელები რომში ყოველ წლივ 200 მილიონ ფრანკსა ხარჯავენ და ეს კი დიდად ხელს უწყობს რომაელების კეთილ-დღეობას. როგორც ეტყობა ხელოვნებითი შემოქმედებასაც მატერიალური სარგებლობის მოტანა შესძლებია!

უცხოელთა ფულებით ბევრსა სარგებლობს აგრეთვე შვეიცარიაც, ეს, შედარებით, ღარიბი ქვეყანა. სამაგიეროდ, შვეიცარიელებიც სცდილობენ მოსულ ხალხს ცხოვრება მოუწესრიგონ.

საქართველოც მშვენიერი და ტურფა ქვეყანაა. აქაც, შეიძლება, ათასობით მოსულიყო უცხოელი, მაგრამ განა საქართველოში ასეა მოწყობილი ბინა-საცხოვრებელი, რომ ევროპიელმა გასძლოს? ამ სამი ოთხი წლის წინად ორჯელ მოვიდნენ კავკასიის დასავლელად გერმანელ ნავოსნების ერთის საზოგადოების წევრნი, მაგრამ მერე კი აღარ გაუვლიათ, რადგანაც ჯერ ერთი რომ ტფილისელმა ვაჭრებმა ტყავი გააძრეს და მეორეც, არ გამოჩნდა ისეთი ქართველი, რომ წინ გაუძღოლოდა ამ ტურისტებს და მოწყენილ ტფილისის მეტი—ეჩვენებინათ საქართველოს სხვა კუთხეებიც. მაშინ რომ გამოჩენილიყო ასეთი კაცი, გერმანელი ტურისტები (სულ 150 კაცი იყო) ყოველ წლივ ივლიდნენ საქართველოში, ე სიარული მოდათ გადაიქცეოდა, სხვა ევროპიელებიც მიჰბაძავდნენ მათ და ფულიც დატრიალდებოდა.

არტურ. ლეისტი.

თსაც ვერ გადურჩებოდა. ალბად თოფიც კი მოედანდა რამე და ოთახიდან სროლა ასტეხა. სწორედ ეს ტყვიები მოხვდა სალდათების ჯგუფს.

ამბობენ რევოლვერი ერთმა მთვრალმა კაცმა გაისროლა და ნოვიცკის უახლებად მოედანდაო.

ბატონ ნოვიცკიმ იმ ღამესვე ნამესტნიკს დეპეშა მისცა, სამხედრო წესი და გაძლიერებული დაცვა მოითხოვა (არ იკითხავთ, ნეტა რომელი წითელი კოჭი ბძანდება?) საზოგადოებამ კი დილითვე დეპუტაცია გაგზავნა ნამესტნიკთან, რომ ასეთი წესიერების დამცველი სალდათები, რომელნიც უფრო იმათი დამრბევნი იყვნენ, გაეწვიათ და თავიდან მოეშორებინათ.

აუარებელი ფაქტებია და მნახველი იმისა, რომ პირდაპირ სალდათები სძარცვავდნენ დუქნებს და აწიოკებდნენ ხალხს. ხალხისა და მათ ქონების დაცვაც ასეთი უნდა!

გიორგი ჩარხიშვილი.

კავკასიის ქრონიკა

„არშალუის“ დეპეშით ატყობინებენ: 6 ოქტომბერს რამდენიმე ათასი ქურთი, ოსმალეთის ჯარის დახმარებით, **დაეცა სოფელ ალვარიჯს.** მთელი სოფლის მცხოვრებნი ერთიანად ამოჟლიტეს, შემდეგ სოფელს ოთხივ კუთხიდან ცეცხლი მოუკიდეს, თვითონ კი იდგნენ სოფლის განაპირას და, ვინც ცეცხლ-მოკიდებულ სახლებიდან გამოვიდოდა, თოფებით ხოცავდნენ. მთლად ამოწყვიტეს 160 სომხის სახლობა, სოფელი კი ნაცროდ აქციეს. მეორე დღეს იგივე ქურთები დაეცნენ სასუნის ახლო მდებარე სოფელს შენიქს და 60 მეტი ქალი და კაცი დახოცეს.

◆ ნამესტნიკის მიერ გროზნის ოლქში გაგზავნილი გენ. სვეტლოვი **შეეკითხა ოლქის მცხოვრებთა რწმუნებულთ:** თანახმანი არიან თუ არა ჩეჩნები, კომლზე ორ-ორი მანათი იხადონ ყაჩაღების მოსასპობლად. მოგროვილ ფულიდან ჯილდო მიეცემა იმას, ვინც კი ყაჩაღს დაიჭერსო. რწმუნებულნი დათანხმდნენ და, სხვათა შორის, ერთხმად განაცხადეს: ყაჩაღების მოსასპობლად ეგ არა კმარა, ყაჩაღების ყველა ნათესავები უნდა გადაასახლოთო. ამას გარდა ადმინისტრატიულის წესით ძალზე უნდა გააძლიეროთო, „რიზგები“ უნდა შემოიღოთო და მინდვრებში მკვლელობის მოსასპობლად იმ ნიწის პატრონს, სადაც ყაჩაღების კვალი მივა, უნდა გადახდეს მოკლულში — 1000 მან., ხოლო დაჭრილში — 500 მანათი.

◆ 27 ოქტომბერს ერევნის საპყრობილიდან **გაიქცა სამი ტუსაღი:** მიხეილ ხუციშვილი, ათან. კოზიაკინი და ეომილოზ ასათიანი. გაქცეულების საქმე ჯერ კიდევ გამოძიებაში იყო.

◆ სტავროპოლში 2 ნოემბერს ადგილობრივ სასულიერო სემინარიის მღვდლის სახლს დაეცნენ ბოროტ-განზრახველნი. მღვდელი ძლიერ დასჭრეს, ათ თუმნამდინ ფული გაიტაცეს და გადავარდნენ. მეორე დღეს საროსკიპო სახლში სამივენი დაიჭირეს. **ორი მათგანი აღმოჩნდა სემინარიის მეორე კლასის მოწაფენი,** ხოლო მესამე ადგილობრივ გიმნაზიისა

◆ **ბაქოში გაიფიცნენ.... ხულიგანები,** რადგან რამდენიმე მათი ამხანაგი პოლიციამ დაატუსაღა. (მშაკი).

◆ გ. ა. ვერტენოვი შუამდგომლობს ნამესტნიკის წინაშე, ნება მისცეს კავკავში გამოსცეს **ყოველ-დღიური გაზეთი,** სახელად „პრავდა“.

წერილი ფოთიდან

15 ოქტომბერს, აქ მოხდა საერთო პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა 4 დღეს, არ იშოვებოდა არაფერი გარდა პურისა.

18 საღამოს, ბულვარის პირზე მოსეირნე საზოგადოებას დიდი აღტაცება ეტყობოდა. მაშინ ამ საერთო ბედნიერებისა კონსტიტუციაზე გავრცელებული ხმა იყო.

19-ს ადგილობრივმა მესტამბემ ლ. ტუღუშმა დასტამბა ტელეგრამა მანიფესტისა, როგორც რუსულად ისე ქართულად თარგმნილი, საიდანაც ყველას საშუალება მიეცა გაეგო, რა ფორმის იყო ეგრედწოდებული „კონსტიტუცია“.

20-ს დილით ქალაქის საბჭოში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, უმაღლესად ბოძებულ მანიფესტის გამო, რომლის შემდეგ ქალაქის მოურავმა ბ-ნ ნ. ნიკოლაძემ აღფრთოვანებით სიტყვა წარმოსთქვა და ურჩია საზოგადოებას დაწყნარებულიყო, რადგან ამ მანიფესტის ძალით შეიძლება მშვიდობიანის გზით, მიზნის მიღწევაო, რომელიც ვრცლად დაასურათა. ამის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატმა, ბ-ნ ბ. თევზაიამ ილაპარაკა და დაარღვია ქალაქის მოურავის რჩევა, რაზედაც გაიმართა მათშორის ხანგრძლივი კამათი. ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ორატორებმაც, უმტკიცებდნენ ხალხს მანიფესტის უვარგისობას და თხოულობდნენ დაუყოვნებლივ დამფუძნებელ კრების მოწვევას.

სოციალ-დემოკრატებმა ააფრიალეს წითელი დროშა კარლ მარქსის სურათით. მათ შეუერთდა დამსწრე საზოგადოებაც, და რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი პროცესია, მარსელიეზის სიმღერით, ბაზრისკენ გაემართა. დიდებული სურათი იყო! თავისუფლების სიმღერა, თავისუფლებისთვის მებრძოლთა გულიდან ამოხეთქილი, გრგვინავდა ჰაერში. დემონსტრატებმა ჩაიარეს მხოლოდ ის ქუჩები, სადაც დუქნებ-მაღაზიებია და მიტინგი 3 საათზე მშვიდობიანად დაიშალა.

28 ოქტომბერს, შუადღისას, ქალაქის ბაღში გაიმართა მიტინგი, სადაც არჩეულ იქმნა „ბიურო“, 9 წევრისაგან შემდგარი. ამავე მიტინგზე იკითხეს, როგორ ვუშველოთ გურიას, რომელსაც განადგურება და აწიოკება დაუწყო იქ დაბანაკებულმა ჯარმაო. ამ კითხვაზე მიტინგმა შეიმუშავა რეზოლუცია და გადასცა ბიუროს, რომელსაც დაავალა, წინადადება მიეცა ქალაქის ხმოსნებისთვის, რადგან ქალაქის მოურავმა არ ინება, და ეს რეზოლუცია ტელეგრამით ნამესტნიკს არ გადასცა. საბჭო სამსახურიდან გადამდგარიყო.

29-ს საღამოს, ხმოსნებს, სახალხო სხდომა ჰქონდათ, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. გასარჩევი კითხვა შემდეგი იყო; გაეგზავნათ თუ არა ბიუროს მიერ წარდგენილი რეზოლუცია ნამესტნიკისთვის. პრინციპიალურად ყველანი წინააღმდეგი გახდნენ იმ რედაქციით ტელეგრამის გაგზავნისა, რისთვისაც დამსწრე საზოგადოებიდან დიდი პროტესტი დაიმსახურეს. ერთმა ორატორმა წინადადება მისცა ხმოსნებს, სხვა რეზოლუცია შეემუშავებინათ და წარედგინათ მეორე დღეს მიტინგისთვის, რომელიც დილის 10 საათზე იყო დანიშნული.

მეორე დღეს, 30 ოქტომბერს, მიტინგი არ შესდგა.

საღამოს 7 საათზე, ბიუროს ქალაქის საბჭოში დანიშნული ჰქონდა სახალხო კრება, სხვადასხვა კითხვების გასარჩევად. კრების დაწყებისთანავე ბიურომ განაცხადა, თუ რისთვის გადასდო მიტინგი და განმარტება მისცა თავის საქციელს. აგრეთვე წაუკითხა საზოგადოების მიერ გაგზავნილ ტელეგრამის შინაარსი, რომელიც ძალიან სუსტი და მკრთალი იყო, მიტინგზე შემუშავებულ მოთხოვნილებასთან შედარებით, რისთვისაც საზოგადოებამ ბიუროს საყვედური გამოუცხადა. კრებამ წინადადება მისცა ბიუროს ამ საღამოსვე გაეგზავნა, სადაც ჯერ იყო, წინანდელ მიტინგზე შემუშავებული რეზოლუცია. შემდეგ ბიურომ ტელეგრამის მხარის დასაჭერად გამოაცხადა საერთო პოლიტიკური გაფიცვა, რაც მიღებულ იქმნა დამსწრე საზოგადოებისაგან. 31-დან გაფიცვა დაიწყო.

1 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ქალაქის ბაღში, ბიურომ გამართა მიტინგი. 2-ს დილით ქალაქის ბაღში მიტინგი კიდევ გაიმართა. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. მიტინგის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე. რადგან ამ მიტინგზე უნდა არჩეულიყო ბიუროს ახალი წევრები ფარულის კენჭის ყრით, ბ-ნმა ბ. თევზაიამ განუმარტა ვრცლად საზოგადოებას რუსულ-ქართულ ენაზე, თუ რა არის ბიურო და მისი მოვალეობა. ამის შემდეგ საზოგადოების ერთმა ნაწილმა (რომლებმაც წინა დღით დემონსტრატიულად დასტოვეს კრება) დაჟინებით მოითხოვა დაწყებულიყო კენჭის ყრა. ბ-ნმა თევზაიამ შეუძლებლად სცნო ეს და დამტკიცა, რომ უსიოდ, ფარულის კენჭის ყრით არჩევნები და ხელის აწევით არჩევნები — ეს ორივე ერთია, ორივე ბურჟუაზიულია. და რომ დემოკრატიულ ნიადაგზე მოხდეს არჩევნები, საჭიროა, ფოთი რამდენიმე ნაწილად გაიყოს, არჩეულ იქმნას კომისიები, რომლებმაც უნდა მოახდინონ აღწერა, და შემდეგ არჩევნებიც წესიერი იქნება. ამით ხალხსაც პოლიტიკურად აღვზრდით და მომავალ წესწყობილებისთვისაც მოვამზადებთო. კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო და ამის მოწესრიგება ისევ ძველ ბიუროს მიანდო. შემდეგ გაირჩა სხვა კითხვებიც, სხვათა შორის, გადაწყდა გაფიცვის ახსნაც.

ბ. პელაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, ტფ. სახაზინო თეატრში ქართულმა დრამატიულმა დასმა, ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა და ქ-ნი რომანიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნა სამ მოქმედებიანი პიესა ფილიპისა „ძალა ცოდნაშია“ და ერთ-მოქმედებიანი კომედია მირბოსი — „ქუდი“. პირველ პიესას წინად ჩვენი დასი „კაცობრიობის კეთილის მყოფელნი“-ს უწოდებდა და ჩვენს სცენაზე უკვე იყო წარმოდგენილი. რად მოისურვა ჩვენმა დასმა ამ პიესის სახელის გამოცვლა და ახალ პიესად გამოცხადება, ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. ნუთუ იმიტომ რომ ხალხი შეცდომაში შეეყვანა?

პიესის შინაარსი და მის შესახებ აზრი ჩვენს გაზეთში უკვე იყო გამოთქმული პირველ წარმოდგენის შემდეგ. ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ნაკლებად შეეფერება დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას და განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ექიმი მარტიური მხოლოდ სიტყვიერადაა რევოლუციონერი, ხოლო მოქმედებით ის იგივე ექიმია, რომელიც სახელის მოპოვებას ელტვის და რომელიც სხვებს თუ არ უწევს მეტოქობას საექიმო ასპარეზზე, — სხვის ქიშპი მაინც ვერ აუტანია. იგი სწუხს, რომ უმტრეს და პროფესორის ადგილი დააკარგვინეს; ჰგონებს, რომ მის სიმამრს, როგორც ექიმს, სასახლეში დიდი გავლენა აქვს და ბოლოს სასახლეში სიმამრის ადგილსაც იჭერს. ერთის სიტყვით, ექიმს მარტიუსს, რომ გამოვაკლოთ ლამაზი სიტყვები, ჩამოვართვათ რევოლუციონერის სახელი რომელსაც ის თავის თავს უწოდებს, ჩვენ წინ დადგება ტიპი პატივის მოყვარე ადამიანისა, რომელიც გრძნობს ძალ-ღონეს, თავის ცოდნას, თავის უპირატესობას და ვერ შერიგებია იმ გარემოებას, რომ ცოდნით იმაზე დაბლა მდგარს ადამიანს შეუფერებელი ავტორიტეტი დაუმსახურებია საზოგადოებაში. ამას გარდა პიესა მეტად გაჭიანურებულია, მონოლოგები გრძელია, რაც როგორც მსახიობთა, ისე მაყურებელთათვის, მეტად სამძიმოა.

პიესამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. ექიმ მარტიუსი, რომელში ბ-ნმა მესხიშვილმა ჩვეულებრივ მშვენივრად ითამაშა. კ. ყიფიანი, რომელიც ფონ-დერბახის როლს ასრულებდა, გადაჭარბებულად ჰქელავდა. ამ როლის ამსრულებელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ფონ-დერბახი გამოჩენილი, სასახლის ექიმია და მეტის ღირსებით უნდა ეჭიროს თავი. კარგი იყო ქ-ნი რომანიშვილისა ექიმ მარტიუსის ცოლის როლში. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. თეატრი ხალხით სავსე იყო.

არ შეგვიძლიან ამასთან არ ვუსაყვედუროთ თეატრის ადმინისტრაციის და ერთხელ კიდევ არ მოვაგონოთ მას და აგრეთვე დამსწრე საზოგადოებას, რომ წეს-რიგი როგორც სცენაზე, ისე თეატრის დარბაზშიაც საჭიროა. მომეტებული ნაწილი საზოგადოებისა თავ-თავის ადგილზე არ სხდან. განუწყვეტელი ხმაურობაა.

X

რუსეთი

3 ნოემბერს, ღამე, გაზეთ „ნოვაია ჟიზნ“-ის სტამბაში პოლიცია შევიდა და იქაურობა გაჩხრიკა: **დაიჭირა** „მუშათა დეპუტატების საბჭოს ცნობანი“ № 5 და **დაპატიმრა** 45 კაცი. როგორც ამბობენ, გაზეთი „ნოვაია ჟიზნ“ აღარ გამოვა. ასეთია თვითმპყრობელობის მიერ ბოძებული თავისუფლება პრესისა და ხელუხლებლობა პიროვნებისა!

◆ ამ დღეებში პუტილოვის ქარხანაში მუშებმა გათენებამდის იმუშავეს, 500 ფუთი ფოლადი ჩამოასხეს იარაღად, **ყველანი შეიარაღდნენ** და წავიდნენ.

◆ პეტერბურგში მექარხნეთა დეპუტატებმა ნობელმა და რადლოვმა ვიტტე ინახულეს და განუცხადეს: თქვენი დაპირება იმის შესახებ, რომ მუშათა მდგომარეობას გააუმჯობესებთ, მუშებში გადამეტებულ იმედს გამოიწვევს. ჩვენც ვაპირობთ მუშების ცხოვრების გაუმჯობესებას, მაგრამ 8 საათის სამუშაო დღეს არის დროს არ შემოვიღებთ. თუ გაფიცვა განმეორდა, ქარხნებსა და ფაბრიკებს სამუდამოდ დავკეტავთო. ვიტტემ უპასუხა, მე ჩემ განკარგულებათა კრიტიკა არ მჭირია. მე მხოლოდ მუშების დამშვიდება მინდოდა. ვიტტეს მოწოდება მუშებმა **სასაცილოდ აიგდეს.** „დღეს ძმებს გვეძახიან, ხვალ კი მათრახებით ზურგს აგვიჭრელებენო“ — ამბობენ მუშები.

◆ ადესის სტუდენტები შეიკრიბნენ, მოილაპარაკეს და დაადგინეს, სიტყვას თავი დაანებონ და პირდაპირ იარაღს მიჰმართონ. სტუდენტები **იარაღს ისხამენ** და ემზადებიან მოძრაობისთვის.

◆ ტირასპოლის მახლობლად „რაზდელნაია“ სადგურზე, კაპიტან კატაევის მეთაურობით ჯარი **სამგზავრო მატარებელს დაეცა,** ყველანი გაძარცვეს და ბევრსაც სცემეს.

◆ ხულიგნებმა განთქმულ მწერლის **ლ. ტოლსტოის სახლის აკლებაც მოინდომეს** და იმ სოფელში, სადაც ტოლსტოი ცხოვრობს, გლეხთა შორის პროპაგანდა დაიწყეს, მაგრამ გლეხები ისე გაბრაზდნენ ხულიგანებზე, რომ იმათ ძლივს უშველეს თავს.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

10 ნოემბერი.

პეტერბურგი, 9. რადგანაც მუშათა საკითხის მდგომარეობა მეტად გამწვავდა, ვაჭრობის სამინისტროს განზრახვა აქვს, გამოსცეს დროებითი წესები შესახებ გაფიცვებისა და პროფესსიონალურ კავშირებისა. სამხედრო და საზღვაო მინისტრები მინისტრთა საბჭოს ყოველ კრებაზე ესწრებიან. საბჭოს თითქმის ყოველდღე აქვს კრება გრაფის ვიტტეს თავმჯდომარეობით აქ, პეტერბურგში, ხოლო კვირაში ერთხელ ცარსკოე სელოში.

რადგანაც გრაფს ვიტტეს ბევრი საქმეები აქვს, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა და საზოგადოებას შესწირა 5,000 მანათი

მოსკოვი, 9. ერობის მოღვაწეთა დიდის კრებაზე ორატორებს კამათი ჰქონდათ მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ. პროფესორი კოვალევსკი წინააღმდეგია დამფუძნებელ კრებისა და იმ აზრისაა, რომ რუსეთში მონარქია უნდა იყოს. გრაფი გეიდენი ემხრობა კოვალევსკის და წინააღმდეგია პირდაპირი კენჭის ყრისა. ნოვოსილცევი (კოსტრომიდან) წინადადებას აძლევს კრებას, შეუერთდნენ იმ პარტიებს, რომლებმაც თავისუფლება მოიპოვეს. კრასოვსკი (პეტერბურგიდან) წინააღმდეგია პირდაპირის კენჭის ყრისა და იმ აზრისაა, რომ მთავრობას უნდა მიემხრონ. გუჩკოვი წინადადებას იძლევა განუცხადონ თავისი თანხმობა 17 ოქტომბრის მანიფესტს, სამხედრო წესებს ამართლებს, თხოულობს, რომ გამოძიება დანიშნონ და გამოარკვიონ, რა მონაწილეობას იღებდნენ უკიდურესი პარტიები დარბევებში; წინააღმდეგია დამფუძნებელ კრებისა და უკიდურესს პარტიებთან შეერთებისა. თავადი ევგენი ტრუბეცკოი წინააღმდეგია სამხედრო წესებისა და იმ აზრისაა, რომ პოლონელებს მხარი უნდა დაუჭირონ.

სტამბოლი, 9. პორტამ გადასცა პასუხი სახელმწიფოების მიერ წარდგენილ მოთხოვნილებებზე მაკედონიის ფინანსების კონტროლის შესახებ. ყველა მუხლი უარ-ყოფილია.

სარატოვი, 9. შესდგა კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიის პირველი კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

ირკუტსკი, 9. სამხედრო ცენზურა გაუქმეს. გიმნაზიებში სწავლა შესწყდა.

კიევი, 9 ვაჭართა საზოგადოებამ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ სახელმწიფო ბანკიდან მიეცეს სესხად 6 წლით 200,000 მანათი დარბევის გამო დაზარალებულ ვაჭართა დასახმარებლად.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 9. ბირჟის საზოგადოებამ ვიტტეს გაუგზავნა დეპეშა, სადაც აცხადებენ სურვილს, რომ ვიტტემ ძნელი საქმე კეთილად დაამთავროს. ჩვენ მზადა ვართ, რითაც კი შეგვეძლება, მთავრობას მხარი დავუჭიროთო.

პეტერბურგი, „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს უკანასკნელ დღეებში მოუვიდა 40 მეტი განცხადება და დეპეშები, სადაც თხოულობენ, რომ პოლონეთის სამეფოს გუბერნიებში სამხედრო წესები გაუქმებულ იქმნას, მიეცეს პოლონეთს სრული პოლიტიკური ავტონომია და მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება, ან სეიმი ვარშავაში. 9 ნოემბერს შემოვიდა დადგენილება, შემუშავებული 31 ოქტომბერსა და 2 ნოემბერს ვილნოში მომხდარ ლიტველების კრების მიერ, ლიტვის ავტონომიის შესახებ. ამ დადგენილებებში, სხვათა შორის, შემდეგი მუხლებია შეტანილი: 1) ლიტველები, სცნობენ-რა, რომ მათი ტერიტორია დიდი ხნიდან შეიცავს გუბერნიებს: ვილნოსას, კოვნოსას, გროდნოსას და ნაწილ კურლანდიისას, სთვლის მათ ეტნოგრაფიულად ლიტველების ტერიტორიად, ხოლო ამ გუბერნიებში ლიტველებს შორის მცხოვრებ პოლონელებს, ებრაელებს, რუსებს და სხვებს — მოსულ ერებად; 2) გვსურს რა ვისარგებლოთ თავისუფლებით და მასთან ერთად შეძლება მივსცეთ, მონაწილეობა მიიღონ სხვა ერებმაც, რომლებიც ჩვენთან ერთად სცხოვრობენ, ლიტველები ვთხოულობთ ფართო ავტონომიას დამფუძნებელ სეიმით ვილნოში, ლიტვის ძველ სატახტო ქალაქში, რათა ჩვენის სამშობლოს გამგებელნი ჩვენ თვითონ ვიყვეთ; 3) ვცნობთ რა, ამგვარად, ზემოხსენებულ გუბერნიებს ჩვენს ტერიტორიად, ჩვენ არ ვერიდებით დანარჩენ ერებს, რომლებიც ჩვენთან ერთად ცხოვრობენ, უფლებებს, რომლითაც ადგილობრივი მკვიდრნი ისარგებლებენ, მაგრამ წინააღმდეგნი ვართ, რომ რომელიმე მათგანმა მოინდომოს დაჩაგვრა ჩვენის ენისა, პოლიტიკური თავისუფლებისა, სარწმუნოებისა და სხვა. 4) ვინაიდან პოლონეთში ავტონომია იქმნა შემოღებული, სუვალკის გუბერნია, რადგანაც ზედ ლიტველები სცხოვრობენ, ადმინისტრატიულად უნდა შეუერთდეს ლიტვას, როგორც ეს იყო წინად. ლიტველები წინააღმდეგნი არიან, რომ ეს გუბერნია შეუერთდეს ავტონომიურ პოლონეთს.

„ნოვოე-ვრემია“-ში დაბეჭდილია: „9 ნოემბერს ცარსკოე სელოში შესდგა კრება ყველა მინისტრებისა ვიტტეს თავმჯდომარეობით. კრება დიდხანს გაგრძელდა. კრებაზე თათბირი ჰქონდათ 17 ოქტომბრის მანიფესტით მინიჭებულ უფლებათა დროებითი წესების შესახებ პირველად გამოაცხადებენ წესებს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

კრემენჩუგი, 10. პროგრესსიული პარტია, რომელიც სახელმწიფო საბჭოში არჩევნებისთვის ემზადება, მალოროსიულ ენაზე მოწოდებით მიმართავს მაზრის მცხოვრებთ, შეუერთდნენ შემუშავებულს პლატფორმას, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტზეა დამყარებული.

ვილნა, 10. ვილნისის და ტულის ბანკების მესესხეებთ კრებაზე დაადგინეს, მოითხოვონ საჯარო ვაჭრობის გადადება, შესტან ფულების განაწილება და სხვა გვარი შეღავათები.

ყაზანი, 10. „ვოლჟსკი ლისტოკი“ იუწყება, რომ 22 ოქტომბერს მარიუპოლის სატუსაღოდან გაიქცა ჩაიკინი, რომელმაც ყაზანის ღვთის მშობლის ხატი მოიპარა.

ტოკიო, 10. სეულიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ღამით აჯანყებულ კორეელების ბრბო შეუვარდა მარკიზ იტოს და ქვების სროლა დაუწყო. მარკიზი მსუბუქად დაიჭრა.

ასტრახანი, 10. შავი ჭირი ისევ მძვინვარებს. ყირგიზის მინდვრებში 7 ნოემბრამდე სულ 91 კაცი გახდა ავად, ამათში 71 გარდაიცვალა. ზღვის პირად, პირველ ნაწილში, გარდაიცვალა 4, მეორეში — 21. კრასნოიარსკის მაზრაში ავად გახდა თორმეტი, გარდაიცვალა თორმეტივე.

ორენბურგი, 10. შესდგა კავშირი მშობლებისა, რომელსაც მიზნად აქვს მოსწავლეთა პირობები და ინტერესები დაიცვას და სკოლის მშვიდობიან ცხოვრებას ხელი შეუწყოს.

ჰელსინგფორსი, ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს სამოქალაქო და სასულიერო საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე გერარდი.

ორიოლი, 10 გუბერნატორმა გამოსცა და საერთო უფროსებს დაუგზავნა ხალხში დასარიგებლად მოწოდება გლეხებისადმი, რომლითაც გუბერნატორი გლეხებს სთხოვს, აგრარულ უწესოებას მოსწყვიტონ, მიიღონ 17 ოქტომბრის მანიფესტის წყალობანი, დაუბრუნდნენ მშვიდობიანსა და პატიოსან ცხოვრებას, თან არ დაივიწყონ, რომ ყოველნაირ თვითნებობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ულმობელი ზომები იქმნება მიღებული.

ვენა, 10. სულთანს გააფრთხილეს, რომ ზღვაზე დემონსტრაციების გარდა, მის გვერდით ბალკანეთის აჯანყება მზადდება. ახლა საქმე სახელმწიფოების პრესტიჟს ეხება. ამ უკანასკნელთ არ შეუძლიანთ უკან დაიხიონ და, რომ მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ, ყოველნაირ ღონისძიებას იხმარებენ.

ვლადივოსტოკი, 10. უწესოება მოისპო. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. ჯარის კაცთ თანდათან ანთავისუფლებენ სამსახურიდან.

მოსკოვი, 10. ერობის წარმომადგენელთა სადამოს კრებაზე დე რობერტი ამტკიცებდა, რომ კაბინეტი შესდგა საპატიო პირებისაგან და რომ რეზოლუციაში შეტანილ იქმნას საკითხი პოლონეთის ავტონომიის შესახებ. ფულიშევიჩი თხოულობდა, რომ კავკასიას და საზოგადოდ განაპირა ქვეყნებს ავტონომია მიეცეს. პეტრუნკევიჩი იმ აზრისა იყო, რომ ადმინისტრაცია და პოლიცია უნდა შეიცვალოს, რადგან არ შეიძლება ახალი ღვინო ძველ ტიკებში ჩაასხასო. ორატორმა განაცხადა, დარწმუნებული ვარ, რომ ვიტტე რეფორმებს მართლა გაიყვანსო. პეტრუნკევიჩმა სთქვა: გუჩკოვი წარმოთქმულ სიტყვაში ამნისტიას თხოულობდა მარტო პოლიტიკურ დამნაშავეთათვის კი არა, მძარცველებისთვისაცო. გუჩკოვს მინისტრის კანდიდატად ასახელებდნენ, მაგრამ კანდიდატურა არ გავიდა, ეჭვს გარეშეა, ვიტტემ შეიგნო, რომ ძველის შეხედულების ადამიანთან ექმნება საქმე და მარტოდ მუშაობა არჩია. ჩანს, ვიტტემ რეფორმების განხორციელება მტკიცედ გადასწყვიტაო.

ვარშავა, 10. ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ პოლონეთში უწესოებანი არ ისპობა რადომისა, სუვალკისა და პეტროკოვის გუბერნიებში მცხოვრებნი ანადგურებენ არყის დუქნებს, გმინების სამმართველოებს, სკოლებს, სჩეხავენ სახაზინო ტყეებს და უარს ამბობენ სახელმწიფო გარდასახადებზე.

სიზრანი, 10. მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო. გაანადგურეს და ერთიანად გადასწვეს „მოსკოვის ვედომოსტის“ რედაქტორად ნამყოფ კატკოვის შვილის ეკონომია. მემამულეები საცხოვრებლად ქალაქში გადადიან.

მიშკინი, 10. გამოსასყიდ გარდასახადების პატიების შესახებ მანიფესტმა გლეხებში დიდი სიხარული გამოიწვია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.
(პეტერბურგის საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ. სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 18 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისკენ: ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დილის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის ბათუმისკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის 5 ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ.-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ.,

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ.

სურამისკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ.; 4) დილის 11 ს. და 33 წ.; 5) ნაშუადღევის 3 ს. და 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და [illegible]

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ.; 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის [illegible]

ბაკურიანისკენ — (ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისკენ: სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის 11 ს. 13 წ.

ქუთაისიდან გამოდის.

რიონისკენ. სამგზავრო: 1) დილის 4 ს. 33 წ.; 2) დილის 6 ს. 33 წ.; 3) დილის 10 ს. 13 წ.; 4) ნაშუადღევის 2 ს. 53 წ.; 5) საღამოს 8 ს. 58 წ.; 6) ღამის 10 ს. 18 წ.

ტყიბულისკენ: საქ.-სამგზ. ნაშუადღევის 4 ს. 28 წ.

შორაპნიდან გადის.

საჩხერისკენ: სამგზავრო: 1) დილის 6 ს. 56 წ.; 2) ნაშუადღევის 2 ს. 13 წ.

საჩხერიდან გამოდის:

შორაპნისკენ: სამგზავრო. 1) დილის 8 ს. 52 წ.; 2) ნაშუადღევის 4 ს. 46 წ.

ფოთიდან გამოდის:

სამტრედიისკენ: სამგზავრო: 1) ნაშუადღევის 2 ს. 11 წ.; 2) დილის 7 ს. 11 წ.; 3) საღამოს 7 ს. 22 წ.

ქუთაისისკენ: დილის 5 ს. 44 წ.

სამტრედიიდან გადის:

ფოთისკენ: სამგზავრო: 1) დილის 9 ს. 58 წ.; 2) ღამის 10 ს. 53 წ.; 3) საღამოს 4 ს. 58 წ.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

თანახმად ტფილისის მედროგეებისა და მეურმეებისათვის დაწესებულის სავალდებულო დადგენილების მე-13 §-სა, ამით აცხადებს, რომ 18 ამა ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია არჩევნები ტფილისის მეურმეებისა და მედროგეების მამასახლისისა, და სთხოვს ყველას, ვისაც დროგები აქვს ტფილისში, გამოცხადდნენ დანიშნულ დროს გამგეობის სადგომში თავიანთ ნიშნებითა (ბლახა) და მეურმეობა-მედროგეობის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკებით, აღნიშნულ არჩევნების მოსახდენად. (1—6.—1)

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. 1 (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით), ფასი ერთი აბაზი.

ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანათზე აბაზი დაეთმობა.

საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.

მისამართი: Книжный магазинъ „Цодна“. (20—8)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., ს.